## ---------- ფეხბურთით – ევროპაში! ----------

# გილოცავ, საქართველო!

საქართველო–საბერძნეთი – 4:2!
მართლაც, რომ არის, ასრულდა! –
ტაშკენტის ისტორიული ტრიუმფიდან მე–60
გაზაფხული დამოუკიდებელი საქართველოს
ეროვნულმა ნაკრებმა დაგვიმშვენა –
წლეულს ზაფხულში გერმანიის
სტადიონებზე ევრო – 2024–ის ფინალურ
რაუნდში პირველად ვითამაშებთ.
ყოჩაღ, ბიჭებო! გილოცავთ, საქართველოვ!




# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან


ისტორიული პენალტების სერიით (4:2) საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა!


ოთხშაბათი, 27 მარტი. 2024 წ. №36 (9716) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## რატომ არ მთავრდება ომი უკრაინაში?



5

# კართაგენი უნდა დაინგრეს!

უკრაინაში მიმდინარე ომს, ისევე როგორც ყველა მოვლენას, აქვს თავისი წარსული და მისი გახსენების გარეშე რთულია, უპასუხო კითხვას – რატომ ვერ ხერხდება ომის დასრულება?

# „ანაკონდას მარყუჟი“ რუსეთისთვის



3

## ცეცხლის რკალი სამხრეთ კავკასიას უახლოვდება

### ანზორ თოთაძე:

# ევროპის ქვეყნების დემოგრაფია

პარიზის, ლონდონის და რომის ცენტრალურ უბნებში შობადობა კატასტროფულად მცირდება!

7

## ბერლინი კი უკვე „შეჭამეს“ მიგრანტებმა...

არა ოდენ საქართველოს საწუხარი

### ზურაბ ცუცქირიძე:

# პედაგოგიკის მკვლელობა

4

სამი რამის დეცენტრალიზაცია არ შეიძლება სახელმწიფოში: არმიის, რკინიგზის ტრანსპორტისა და განათლების სასკოლო სისტემის. ეს ჭეშმარიტება ჩემი მიგნება კი არ არის, კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების შედეგია.

### ხელოვანი



# თემო გოცაძის შედევრები გია ჯაფარიძის კერძო გალერეაში მობრძანდა...

თემო გოცაძე შარშან, აგვისტოში, განერიდა მუხთალ წუთისოფელს.

ბევრი იწვალა, იშრომა, იგოგოქრა, მხოლოდ საკუთარი გზით იარა და სახალხო მხატვრის, გულანთებული პატრიოტის და ნაღდი თბილისელი კოლორიტის სახელიც დაიგდო...

გავშვობიდანვე ეტყობოდა, რომ ნორმიდან ამოვარდნილი ტალანტი იყო!

საკუთარი სამშობლოს ისტორიით, მითოლოგიით, პოეზიით საზრდოობდა.

განსაცვიფრებელი სიმბოლისტური აზროვნება ჰქონდა. პირველივე ნამუშევარი, რომელიც ახალგაზრდა მხატვარმა საგაზაფხულო გამოფენაზე 1965 წელს წარადგინა, შედევრი იყო.

„ლურჯა ცხენები“ ერქვა ამ შედევრს. ეს ულამაზესი ფერწერული კომპოზიცია, რა თქმა უნდა, სიმბოლისტური, აბსტრაქტული გამომსახველობისა გამო, დიდი დაპირისპირებისა და შეხლა-შემოხლის საგანი გახდა.

ჭეშმარიტ ხელოვანთა და ახალგაზრდა „კარიერისტთა“ ერთმა ჯგუფმა „ლურჯა ცხენები“ საქართველოს კომკავშირის პრემიაზე წარადგინა, მეორე ჯგუფმა კი ამ შედევრს ბურჟუაზიული გადმონაშთი უწოდა და მოსკოვში საკავშირო მთავრობის დონეზე საჩივარი გაგზავნა. ჯიუტი და გაბედული მხატვარი საკუთარი სამყაროს, ამაღლებული სულისა და ზნეობის ერთგული დარჩა.

ის. 5 გვ.

# საქართველოს საელჩოს ახალი შენობა ერევანში



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ნიკოლ ფაშინიანმა და ირაკლი კობახიძემ ერთობლივი განცხადებების გაკეთების შემდეგ საზეიმოდ გახსნეს სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ახალი შენობა.**

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ირაკლი კობახიძეს და ნიკოლ ფაშინიანს სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი შარვაშიძემ უმასპინძლა.

**„ქართულმა მხარემ შენობა 2024 წელს შეიძინა. პირველად, ქვეყანას სომხეთის რესპუბლიკაში აქვს საელჩო, რომლის შენობაც საქართველოს ეკუთვნის. ის მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც განთავსებულია სხვა დიპლომატიური მისიების წარმომადგენლობები და მოიცავს მოქალაქეთა მისაღებს, საოფისე, საკონფერენციო სივრცეებს. შენობის კეთილმოწყობისას დიზაინში გათვალისწინებულია ეთნიკური და კულტურული ელემენტები. სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ახალი შენობა არის რიგით მე-15, რომელიც საქართველოს საკუთრებაშია“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# პრინციპულობა და გაბედულება ყოველთვის სასარგებლოა!

**პარლამენტის თავმჯდომარემ ხელი მოაწერა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შესახებ კანონს, რომელიც საქართველოს პარლამენტს შესაძლებლობას მისცემს, დაძლიოს თითქმის 3 წლის განმავლობაში „19 აპრილის შეთანხმების“ მიერ შექმნილი ჩიხი და აირჩიოს ცესკოს პროფესიული წევრები და თავმჯდომარე.**



## შალვა პაპუაშვილი:

## კანონი, რომელსაც ჩიხში შევყავართ, უნდა შეიცვალოს. ეს აქსიომაა!

**საზოგადოებას შევახსენებ, რომ მანამდე მოქმედი რეგულაცია – ხმების 2/3-ით ცესკოს წევრების არჩევა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის სათადარიგო თავმჯდომარედ განწესება – არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უცნაური წესი არ შემუშავებულა პარტიების დიალოგის საფუძველზე, არამედ იყო მედიატორის დაჟინებული იდეა, რომელმაც ფაქტია, რომ არ იმუშავა და ვერც იმუშავებდა, მით უმეტეს მომავალ არჩევნებამდე დარჩენილ დროში.**

**ისიც ფაქტია, რომ ოპოზიცია ამ ჩიხურ ვითარებას არჩევნების შედეგების არაღიარების საბაბად გამოიყენებდა.**

**კანონი, რომელსაც ჩიხში შევყავართ, უნდა შეიცვალოს. ეს აქსიომაა. ხოლო კანონი, რომლის მიერ შექმნილმა ჩიხმა შეიძლება რადიკალიზმი წაახალისოს და ქვეყანა დააზიანოს, უნდა შეიცვალოს რაც შეიძლება მალე. მიუხედავად „19 აპრილის შეთანხმების“ ანულირებისა, ჩვენ, მაინც, თითქმის სამი წელი მივეცით ამ ექსპერიმენტულ რეგულაციას იმისთვის, რომ ემუშავა. თუმცა, მოახლოებული არჩევნების წინ ფუჭ ექსპერიმენტებს ვერ დავუშვებთ.**

**ქართველმა ხალხმა ქვეყნის მართვის მანდატი დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად და არა მათ დასაკნინებლად მოგვანიჭა**, – წერს პარლამენტის თავმჯდომარე სოციალურ ქსელში.

**პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე დადებული ვეტო 19 მარტს დაძლია, რის შემდეგაც პარლამენტმა კენჭი უყარა კანონპროექტის თავდაპირველ რედაქციას და მხარი დაუჭირა მის პირვანდელ ვერსიას.**

**პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტით, ძალაში რჩება საარჩევნო კანონმდებლობასა და პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარე გამოაცხადებს და კანდიდატურებს პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს.**

# ქართველთა ზნეობრივი კანონების დამკვიდრებისთვის ბრძოლას მუდამ მოგიწონებთ ერი და ბერი!



## „ქართულმა ოცნებამ“ ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებები მოამზადა

საკონსტიტუციო ცვლილებებზე 25 მარტს, საგანგებო ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, **მამუკა მდინარაძემ** ისაუბრა.

საკონსტიტუციო კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

**მუხლი 1.**

1. კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.

2. არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.

3. აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.

4. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება.

5. ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.

6. აკრძალულია იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

7. აკრძალულია იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

8. აკრძალულია საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი.

„3. ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“.

# გიორგი ამილახვარმა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრი გახსნა

**სომხეთში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა, სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან, ჟანა ანდერასიანთან ერთად, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის გახსნის საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**



გიორგი ამილახვარმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ორი ქვეყნის ისტორიული მეგობრობის გაღრმავების კუთხით ცენტრის გახსნის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. საუბრისას მინისტრმა ქართველოლოგიის ცენტრის გახსნის პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სომეხ კოლეგას, ჟანა ანდერასიანს, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ჰოვანეს ჰოვანესიანს, საქართველოსა და სომხეთის ელჩებს.

გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ საქართველო მხარს უჭერს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართველოლოგიის მიმართულებით სასწავლო-კვლევით საქმიანობასა და აკადემიური ცოდნის გავრცელებას. მინისტრის თქმით, საქართველოსა და სომხეთის საერთო ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური და არმენოლოგიური სამეცნიერო წრეების ერთობლივი მუშაობა და ამ მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

გახსნის ღონისძიების დასასრულს გიორგი ამილახვარმა ცენტრს საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის“ სამუზეუმო ეგზემპლარი გადასცა.

## ცეცხლის რკალი სამხრეთ კავკასიას უახლოვდება

**მას შემდეგ, რაც დასავლეთი უკრაინაში კონფლიქტის მონაწილე გახდა, რუსეთმა დაადასტურა, რომ სპეცოპერაცია ომად იქცა. თავის მხრივ ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ადმირალი რობ ბაუერი აცხადებს, რომ ალიანსის ქვეყნები მზად არიან რუსეთთან პოტენციური პირდაპირი შეტაკებისთვის. გარდა იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი უკვე ოფიციალურად გახდა რუსეთ-დასავლეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე, ვითარება იძაბება სამხრეთ კავკასიაში, როგორც აზერბაიჯანი-სომხეთის მიმართულებით, ასევე რადიკალური ოპოზიციის გარე დამფინანსებლები ცდილობენ ცეცხლის რკალი დაანთონ საქართველოში.**

# „ანაკონდას მარყუჟი“ რუსეთისთვის



პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, რეალურად, „მეორე ფრონტის“ გადმოტანის საფრთხე არსად წასულა, ამიტომ საჭიროა, გონივრულად მშვიდად და მტკიცედ გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს.

„ქართული ოცნების“ ლიდერები უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში აცხადებდნენ, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის სურვილი არსებობს. საქართველოს პრეზიდენტი, **სალომე ზურაბიშვილი** კი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში „მეორე ფრონტის“ საკითხს დაშვებული შეცდომების გადასაფარად იყენებს.

„ხალხის ძალის“ წევრის, ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, საქართველოს ის საფრთხე, რასაც ჰქვია მეორე ფრონტის გახსნა და რუსეთთან ომში ჩათრევა, მოგერიებული არ აქვს. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და აუცილებელია ათმაგი ყურადღება, პირველ რიგში, სპეცსამსახურების მხრიდან.

**„ჩვენ გვახსოვს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმატებული ოპერაცია, როდესაც საქართველოს გვერდის ავლით, რუსეთში უნდა შესულიყო ძალიან დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება. რომელ ტერორისტულ აქტს უნდა მოხმარებოდა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ის, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს არ ემუშავათ პროფესიულად და საქართველო დაედანაშაულებინა რუსეთს იმაში, რომ მისი ხელშეწყობით რუსეთის რომელიმე წერტილზე აფეთქდებოდა, ან სტადიონი, ან საკონცერტო დარბაზი, ან ნავთობის ბაზა და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებს ერთი-ორად გაზრდიდა. ჩვენ ვიცით რაოდენ მიმზიდველია ტერორისტული აქტის ჩასატარებლად ნებისმიერი ჩვენი ნავთობსადენი, თუ გაზსადენი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ჩვენ დღემდე არ დაგვიწყებია არაერთი მოწოდება, რომ მილიტარისტული პროვოკაცია განგვეხორციელებინა ცხინვალის და აფხაზეთის მიმართულებით, თითქოსდა ჩვენი ტერიტორიების აღსადგენად და თითქოსდა ხელსაყრელი გამოყენების მიზნით. ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის, რომელიც აქამდე უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ნელ-ნელა სახეს იცვლის და გადადის უკვე რუსეთის ტერიტორიაზე და იძენს ტერორისტული აქტების ელფერს“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

**დავით ქართველიშვილი** არ გამორიცხავს, რომ ამ ყველაფერს რუსეთის მხრიდან მოჰყვეს თავისი აგრესიული ქმედებების კიდევ უფრო გამძაფრება, თუკი დაადგენენ, რომ უკრაინა ამ უკანასკნელ ტერაქტთან პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა.

იხ. 8 გვ.

## რამდენად შესაძლებელია თბილისში 15 ახალი მეტროსადგურის გაყვანა, რასაც გახარიას პარტია ხალხს დაჰპირდა?



# 15 ახალი მეტროსადგური - აბსურდი თუ რეალობა?!

**წინასაარჩევნო დაპირებები ძალას იკრებს. წელს პოპულარული მოსახლეობისთვის მეგაპროექტების შეთავაზებაა. 1000-ლარიანი პენსიის შემდეგ, კიდევ უფრო გრანდიოზული პროგრამა გიორგი გახარიას პარტიამ წარმოადგინა, რომელიც დედაქალაქში ახალი მეტროსადგურების გაყვანის პირობას იძლევა.**

თბილისს რომ მიწისქვეშა ტრანსპორტის კიდევ უფრო განვითარება სჭირდება, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ პროექტის მასშტაბურობამ ბევრი კითხვა გააჩინა.

გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ თბილისის მოსახლეობას 15 ახალ მეტროსადგურს ჰპირდება. მათი თქმით, გამარჯვების შემთხვევაში მეტრო გაფართოვდება, ერთ-ერთი სადგური კი დიდ დიღომში იქნება. საარჩევნო დაპირების თაობაზე პარტიის წევრმა **გერდია სიჭინავამ** პირდაპირ ეთერში ისაუბრა და აღნიშნა, რომ დედაქალაქი სატრანსპორტო კოლაფსის წინაშეა.

**„ჩვენ როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, 2025 წლიდან დავიწყებთ პროექტირებას და მომდევნო 10 წლის განმავლობაში დედაქალაქს ექნება 15 ახალი მეტროსადგური. ახალი სადგურები გაჩნდება გლდანისა და დიდი დიღმის მიმართულებით. გარდა ამისა, აეროპორტი და ლილო თბილისს დაუკავშირდება მეტროსადგურის საშუალებით და რუსთავის აგლომერაციაც ასევე დაუკავშირდება დედაქალაქს მეტროს მეშვეობით.**

**ჩვენ ამ მეგაპროექტს განვახორციელებთ. ევროპაში 1 სადგურის მშენებლობა ჯდება დაახლოებით 50-60 მილიონ ევრომდე. ჩვენ დათვლილი გვაქვს შესაძლებლობები და თანაც ისე კი არა, როგორც ამას ზოგიერთი პოლიტიკური პარტია აკეთებს, წინასწარ რომ გასცემენ დაპირებას და მერე თავს იმტვრევენ, რა და როგორ მოახერხონ. გვაქვს კონკრეტული გეგმა და ამაზე ზრუნვას დავიწყებთ იმ დღიდან, როდესაც კი არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვალთ“,** – განაცხადა **გერდია სიჭინავამ**.

სხვა ოპოზიციურ პარტიებს ერთი შეხედვით შეუსრულებელი დაპირების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ ხელისუფლების სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები მყისვე გამოეხმაურნენ მეგადაპირებას და იგი უტოპიად შერაცხეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის **ირაკლი ქარსელაძის** შეფასებით, 15 მეტროსადგურის მშენებლობა მთელი ქსელის გაყვანას გულისხმობს, რაც ბევრად ძვირია, ვიდრე საგზაო მშენებლობა.

**„როდესაც ინფრასტრუქტურულ დაპირებას იძლევი, შესაბამისი პირველადი ეტაპები მაინც უნდა იყოს განვლილი ამ დაპირების შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი დაპირება ძალიან არასერიოზულია.**

**მე არ ვარ რკინიგზის სპეციალისტი, მაგრამ რაც ითქვა – 15 მეტროსადგურის მშენებლობა, ეს ქსელის გაყვანას ნიშნავს, რაც ბევრად ძვირი მშენებლობაა, ვიდრე საგზაო მშენებლობა. 2012 წლის შემდეგ 16 000 კილომეტრი გზა გვაქვს გაკეთებული, მაგრამ კიდევ არის გზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ეს არის პრიორიტეტი“,** – განაცხადა **ქარსელაძემ**.

გახარიას პარტიის იდეას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან თბილისის მერიაშიც. როგორც მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა **ვიქტორ წილოსანმა** აღნიშნა, დაანონსებული პროექტი, რომლითაც პარტია ამომრჩეველს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში 15 ახალი მეტროსადგურის მშენებლობას ჰპირდება, აბსურდია.

**– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, გახარიას პარტიის მიერ დაანონსებული 15 მეტროსადგურის მშენებლობა არის აბსურდი და ტყუილი დაპირება, რადგან:**

**1. მის მიერ აღნიშნულ დერეფნებზე, არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე, ვერც ერთი კვალიფიციური ექსპერტი ვერ დადებს დადებით ტექნიკურ ეკონომიკურ დასაბუთებას.**

**2. თუ არ იქნება ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება, არც ერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი არ გასცემს დაფინანსების თანხმობას.**

**ბიუჯეტს არ გააჩნია ამის შესაძლებლობა და რომც ჰქონდეს, იქნება თანხების უმიზნოდ, არაეფექტურად ფლანგვა.**

**ვისურვებდი, რომ პოლიტიკოსები გადაეჩვიონ ამომრჩევლების შეცდომაში შეყვანას,“** – თქვა **ვ. წილოსანმა**.

**ბექა დანელია**

**ამ წერილის სათაური სენსაციურად მოეჩვენება მავანს, იფიქრებს, სად მოკლესო, ნეტავი, ეს უბედური პედაგოგიკა, დღისით მოხდა მკვლელობა თუ ღამით, ერთმა მკვლელმა (ქილერმა) ჩაიდინაო ეს თუ ჯგუფური ბოროტმოქმედება იყოო.**

**ნელ-ნელა, ათეული წლების განმავლობაში, კლავდნენ, ჩემო ბატონო მას შინაური თუ გარეშე მტრები, ზოგი ცოდნით და ზოგი უცოდინარობით, ზოგი ანგარების, ზოგი პიტალო სიბრიყვის გამო. ჩვენ ვუცქეროდით ამას, ზოგი აღშფოთებით, ზოგი გულგრილად, ზოგი როგორც შეეძლო იგრძოდა (სიტყვით თუ კალმით), ზოგი ტაშსაც კი უკრავდა, აქაო და „მუშაობა“ გამიადვილდებაო სკოლაში, ბოლოს იქამდე მივედით, რომ ქვეყნის უპრეცედენტო დალატს და მტრობას (ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი არასოდეს გვქონია, სადაც ქართველი მეცნიერ-პედაგოგების თეორიებისა და პრაქტიკის გასაცნობად მსოფლიოს ყველა კუთხიდან არ ჩამოდიოდნენ განათლების დარგის წარმომადგენლები. პირადად მე, თბილისი 1-ელ ექსპერიმენტულ სკოლაში აშშ-დან ჩამოსული პედაგოგების მრავალრიცხოვანი ჯგუფი წავიყვანე, რომლებსაც საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერ-პედაგოგის შალვა ამონაშვილის გაკვეთილის ნახვა უნდოდათ. აი, ასე!**



# პედაგოგიკის მკვლელობა

**საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაცია სახელმწიფოს მიმართ მტრობაა მხოლოდ, მეტი არაფერი!) დუმილით ხვდება ხალხი!...**

საქმე ეხება საქართველოს განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილ პროექტ-ინიციატივას განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის შესახებ. ამ მინისტრს არ ეტყობა, იმის ინტელექტუალური ძალა ჰქონდეს, რომ თვითონ მოეფიქრებინა ასეთი მზაკვრული პროექტი, რაც ერთიან ეროვნულ ცნობიერებას ისე დაანგრევს, რომ მერე ათი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები საუკუნის განმავლობაშიც ვეღარ გააერთიანებენ, აღარაფერს ვამბობ განათლების უსაზღვრო დეგრადაციაზე, პედაგოგიური კადრების სრულ დემორალიზებასა და გამოთაყვანებაზე, რომელიც ამ ახალი „ინიციატივის“ გარეშეც კარგა ხნის დაწყებულია.

საქართველოში განათლების ორგანიზაციისა და მართვის სისტემის მოშლა სამ ათეულ წელზე მეტია მიმდინარეობს, ჯერ იყო და ის ე.წ. რეფორმა, რომელიც 90-იან წლებში განხორციელდა, ოკეანის გაღმა იყო დაგეგმილი და იქიდანვე იმართებოდა ჩვენი განათლების „მესვეურების“ აქტიურობის გზით.

იმ პერიოდში გამოიცა საგანმანათლებლო რეფორმის თეორიულ-მეთოდური სადირექტივო წიგნი (ვისაც ახსოვს, ლურჯყდიანი სქელტანიანი სახელმძღვანელო იყო!), რომელიც უცხოელი ავტორების მიერ იყო დაწერილი. იცით, რა ეწერა წიგნის ანოტაციაში? რა და, ამ წიგნში მოცემული რეკომენდაციები აპრობირებულია აშშ-მექსიკის საზღვარზე მცხოვრები ხალხების საგანმანათლებლო დაწესებულებებშიო. ასე ეწერა სწორედ! მერე და, ვინც ცხოვრობს აშშ-მექსიკის საზღვარზე? კი არ ცხოვრობენ, რეზერვაციებში არიან შეყრილნი ამერიკის მკვიდრი, აბორიგენი მოსახლეობა, რომელსაც საერთო სახელით – ინდიელებად მოიხსენიებენ, აი, იქ შემოწმებული „თეორია“ მიიღო „საჩუქრად“ საქართველომ სავალდებულო „რეკომენდაციების“ სახით. მიიღო და დაიწყო კიდეც შესრულება.

**სამი რამის დეცენტრალიზაცია არ შეიძლება სახელმწიფოში: არმიის, რკინიგზის ტრანსპორტისა და განათლების სასკოლო სისტემის. ეს ჭეშმარიტება ჩემი მიგნება კი არ არის, კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების შედეგია.**

**იაკობ გოგებაშვილის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანისა... და რუსთაველის სამშობლოში ისე რუდუნებით ჩაუღრმავდნენ ამ „რეკომენდაციებს“, თითქოს მსოფლიოში ცნობილი პედაგოგიკის სამეცნიერო-**



**მინისტრს არ ეტყობა იმის ინტელექტუალური ძალა ჰქონდეს, რომ თვითონ მოეფიქრებინა ასეთი მზაკვრული პროექტი, რაც ერთიან ეროვნულ ცნობიერებას ისე დაანგრევს, რომ მერე ათი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები საუკუნის განმავლობაშიც ვეღარ გააერთიანებენ, აღარაფერს ვამბობ განათლების უსაზღვრო დეგრადაციაზე, პედაგოგიური კადრების სრულ დემორალიზებასა და გამოთაყვანებაზე, რომელიც ამ ახალი „ინიციატივის“ გარეშეც კარგა ხნის დაწყებულია.**

ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ფუნდამენტური ნაშრომი „იან ამოს კომენსკის მოძღვრება“ რამდენიმე ევროპულ ენაზეა ნათარგმნი და მას „კომენსკის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ოქროს მედალი მიანიჭა. აი, აქ ვიღაც-ვიღაცების მიერ მექსიკა-აშშ-ს საზღვრზე მცხოვრებ ხალხებში გამოცდილი საგანმანათლებლო „თეორიები“ შემოგვაჩეჩეს სარეალიზაციოდ. ვდუმდით მაშინ! კი არ ვდუმდით, დუმდნენ ქვეყნისა და განათლების დარგის ხელმძღვანელები, რომლებმაც შეიძლება არც არაფერი იცოდნენ განათლების მეცნიერების შესახებ, მაგრამ მდუმარე პედაგოგიურმა საზოგადოებამ ხომ იცოდა ყველაფერი! მაგრამ ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, „მაია რუბაშკა ბლიჟე კტელუ!“ კი, ბატონო, შენი პერანგი შენს სხეულთან ყველაზე ახლოა, მაგრამ პერანგი სამშობლოს კი არ უნდა ამჯობინო, შე უტვინო, თორემ დარჩები პერანგის ამარა!

**აი, ის რეფორმა იყო პირველი ლახვარი, რომელიც განათლების ქართულ მეცნიერებას, ანუ პედაგოგიკას ჩასცეს!**

მერე ის იყო, რომ ხელისუფლება ნაცებმა „ნაცი“ რასაც ნიშნავს ქართულ ენაზე, იცით, ალბათ, ყველამ!) ჩაიგდეს ხელში და განათლების მინისტრად ხან – ციხის ზედამხედველი დანიშნეს, ხან – სანტექნიკოსი, ხან ნაპროკურორალი, რომლებმაც ისე იცოდნენ საგანმანათლებლო საქმე, თეორიულად თუ პრაქტიკულად, როგორც ცხონებულმა ბებიაჩემმა ოლღამ – ტაილანდური ენის გრამატიკა, ამიტომაც გულმშვიდად დაანგრიეს ისტორიული პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, პედაგოგიკის დარგის მეცნიერული კადრების სამჭედლო და დარგის განვითარების გენერალური შტაბი.

ვიდრე ძველი, კვალიფიციური კადრები ჯერ კიდევ აქტიურობდნენ, იბრძოდნენ და იღვწოდნენ, განათლების მეცნიერებათა აკადემია ცოცხლობდა და შეახსენებდა მტერ-მოყვარეს, რომ პედაგოგიკა ჯერ ცოცხალი იყო და წარღვნის დასასრულს ელოდებოდა, კიდევ იყო იმედის სხივი, მაგრამ, როგორც ერთი ქართული ანდაზა მიგვითითებს, „აქლემები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი“-ო, ისეა ჩვენი საქმე.

და, აი, განათლების სამინისტრომ, მინისტრის გიორგი ამილახვრის პირით გვამცნო: ჩვენ შევიმუშავეთ განათლების სისტემის განვითარების ახალი კონცეფციაო, რომელიც განათლების სისტემის დეცენტრალიზაციას გულისხმობსო, დეცენტრალიზაციასო!

ამასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნე სტატია „ანტისაგანმანათლებლო ლახვარი ილესება.“ ეს სტატია ვისაც ჯერ არს, ყველას წაკითხული აქვს. განათლების აკადემიის ხელმძღვანელებს მე თვითონ გავუგზავნე და ვთხოვე, აკადემიის კრებაზე განგვეხილა ეს „კონცეფცია“ მის ავტორებთან ერთად, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“.

**რატომ მივიდოდა მის განსახილველად მინისტრი ან მისი მოადგილემრჩევლები, როდესაც კარგად იციან, რომ „აკადემია“, როგორც ასეთი, უკვე მაგრად მიჭირხვნილია!**

**როდესაც იმას ვერ მიხვდება ადამიანი, რა საფრთხეს წარმოადგენს ერისა და სახელმწიფოსთვის განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, იგი განათლების მეცნიერებისთვის მკვდარია, თუმცა სხვა საქმიანობისათვის შეიძლება ძალიანაც ცოცხალი იყოს.**

**რატომ? აი, რატომ!**

სამი რამის დეცენტრალიზაცია არ შეიძლება სახელმწიფოში: არმიის, რკინიგზის ტრანსპორტისა და განათლების სასკოლო სისტემის. ეს ჭეშმარიტება ჩემი მიგნება კი არ არის, კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების შედეგია. უნიჭიერესმა სარდალმა და მეფემ ერეკლე მეორემ კრწანისის ბრძოლა იმიტომ წააგო, რომ ქართლ-კახეთის რეგიონების მმართველებმა, რომლებიც, აგრეთვე, თავიანთი რეგიონების ჯარის უფროსებიც იყვნენ, ბრძოლის ველზე მეფის გვერდით არ გამოცხადდნენ. თვით მეფისშვილმა გიორგიმ ლაშქარი არ მოაშველა მამას, როდესაც მეფემ შიკრიკი გაუგზავნა და დროულად მოსვლა უბრძანა, გიორგი (ბაქიჭამია) სიღნაღში ქეიფობდა და ასე შემოუთვალა მეფემამას – ეგ ომი ქართლშია და არა კახეთშიო და ჩვენ ახლა ქართლისათვის არ გვცალიაო. ეს „კურიოზული უბედურება“ იმიტომ მოხდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ერთიანი ჯარი და ერთიანი სარდლობა არ იყო!

**აი, რკინიგზის დეცენტრალიზაცია რომ განახორციელოს ქვეყნის ჭკუიდან გადამცდარმა უფროსმა და სხვადასხვა პატრონი ჰყავდეს რკინიგზას – თბილისიდან გორამდე ჯოხიტლეკიაშვილი, გორიდან ხაშურამდე – ღოგებლეჯიაშვილი, ხაშურიდან ზესტაფონამდე – ჭინჭილაძე, ზესტაფონიდან ფოთამდე – მითაგვარია, რა აწყობილად იმუშავებდა რკინიგზის ტრანსპორტი!**

ასე იქნება სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაციის შედეგადაც: ვისაც მოუნდება ჭკუანაღრძობი ისტორიკოსის შეხედულებისამებრ ასწავლის ისტორიას, ვისაც მოეპრიანება, ასევე გამოლაყებული ფილოლოგის მითითებით გაანათლებს ლიტერატურაში მოსწავლეებს, ვისაც თავისი მწირი გონება უკარნახებს, მათემატიკის სახელმძღვანელოს შინაარსს ვინმე ბანკირი ბიზმესმენის კონცეფციის მიხედვით ააგებს, სადაც ნებისმიერი მოქმედება დიდი მოგებით დასრულდება და ა. შ., საერთო საგანმანმანათლებლო სივრცე ფაფუ, ხოლო ზნეობრივი აღზრდის ცნებაც კი აღარსად გაიჭაჭანებს...

ამას რომ ვერ გაიგებს და აქედან მომავალ საფრთხეს რომ ვერ დაინახავს ადამიანი, რანაირად უნდა მიიჩნიო იგი გონიერ კაცად და, მით უმეტეს, განათლების მეცნიერებათა აკადემიური ელიტის წარმომადგენლად.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მესვეურთა და წევრთა დუმილი სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანას მაიძულებს, აქედან გამომდინარე, არავითარი სურვილი არ მაქვს იმ ერთობაში ყოფნისა, რომელსაც აკადემია ჰქვია, თუ არცერთი მისი წევრი განათლების მეცნიერების მცოდნე არ არის, ან არის, მაგრამ ეს ცოდნა როგორ და როდის გამოიყენოს არ იცის! და როგორც გენიალური რუსთაველი ამბობს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. ჰოდა, თუ რამე იციან სუფრაზე სადღეგრძელოებში გამოიყენონ, მძახლები რომ დაპატიჟებენ, იქ!**



**ზურაბ ცუცქირიძე,**
საქართველოს განათლების მეცნიერებათა ყოფილი აკადემიის ყოფილი წევრი.
ტელ: 555 56-75-37



# პირველადი ჯანდაცვა სახელმწიფოს გაუნელებელ ზრუნვას მოითხოვს!



## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს

**ბატონო ირაკლი,**

**უწინარეს ყოვლისა, გილოცავთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნას და გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში!**

თანამდებობაზე დანიშვნიდან მოკლე ხანში, თქვენ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა და გამოთქმულმა მოსაზრებებმა გამიჩინა მოლოდინი იმისა, რომ ახალი, დადებითი იმპულსი და ენერგია შეემატება მიმდინარე რეფორმების განხორციელებასა და ქვეყნისთვის სასარგებლო ინიციატივების გენერირებას. იმედია, შედეგებსაც მალე ვიხილავთ.

ნება მიბოძეთ,თქვენი ყურდღება მივაპყრო, ჩემი აზრით, ორ ერთობ მნიშვნელოვან საკითხს:

1. თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადეთ, რომ **„ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა გავაძლიეროთ ქართველი საზოგადოება, ხელი შევუწყოთ არა ხელოვნური ფსევდოელიტის, არამედ ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას...“** და მიზნის მიღწევისათვის აუცილებლად მიგაჩნიათ პედაგოგების, ექიმებისა და საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა.

ჩემი აზრით, ამ უმნიშვნელოვანესი მოსაზრების განხორციელებას, სხვა ღონისძიებებთან ერთად, დიდად შეუწყობს ხელს მოქალაქეთა ხელისუფლებისადმი წერილობით მიმართვებზე დროული, ადეკვატური რეაგირება და შემოსული მომართვების ანალიზისა და ხელისუფლების მათზე რეაგირების ამსახველი ინფორმაციის მასმედიის საშუალებებით პერიოდული გასაჯაროება. რა თქმა უნდა, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ მოქალაქეთა წერილობით მიმართვებზე ხელისუფლების აუცილებელი და სათანადო რეაგირება ითვლება ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად ეფექტიან საშუალებად, რაც ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაშიც კი არის ასახული.

მრავალი მოქალაქის მეხსიერებას შემორჩა, ალბათ, საზოგადოების არაერთი სახელოვანი წარმომადგენლის მიერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე თქვენი წინამორბედების საყურადღებოდ გამოქვეყნებულ ღია საგაზეთო წერილებში გამოთქმული გულისტკივილი არა იმდენად მასზე, რომ მთავრობის ხელმძღვანელზე წერილობით მიწოდებული მათი მოსაზრებები არ იქნა გაზიარებული, არამედ იმის გამო, რომ ისინი პასუხის – თუნდაც უარყოფითის – ღირსადაც არ ჩათვალეს. ასევე, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, უპასუხოდ დარჩა, პრემიერ-მინისტრის სახელზე შარშან გაგზავნილი წერილიც, რომელიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა მიმართ ხელისუფლების მხრიდან ღირსეული დაფასების გამოხატვის მიზანშეწონილობას.

კარგად მესმის, რომ მოუცლელობის გამო, პოლიტიკური თანამდებობის პირებს არ რჩებათ საიმისო დრო, პირადად გაეცნონ მთელ კორესპონდენციას თუ საგაზეთო ღია წერილებს და მოამზადონ შესაბამისი პასუხები, მაგრამ მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კვალიფიცირებული სპეციალისტებით დაკომპლექტების, მათზე სათანადო დავალების მიცემისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, ალბათ, უპასუხოდ აღარ დარჩება არც წერილობითი მიმართვები და არც ღია საგაზეთო სტატიები, რაც საგრძნობლად აამაღლებს ხელისუფლებისადმი მოქალაქეთა ნდობას;

2. ბატონო პრემიერო, რაც შეეხება წინამდებარე მომართვის მეორე საკითხს, მერწმუნეთ, რომ თუ არა დიდი გულისტკივილი და პრობლემის აქტუალობა და სიმწვავე, თქვენს ყურადღებას ამაზე ნამდვილად არ შევაჩერებდი. საქმე ეხება საზოგადოებრივ ჯანდაცვის სისტემაში არსებულ საჭირბოროტო საკითხთაგან ერთ-ერთს, რომელიც ამ სფეროში მაკონტროლებელი ორგანოების, უპირველესად, ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან არასათანადო კონტროლს ეხება.

ნამდვილად არ მეგონა, თუ არა ექიმსა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურების არც თუ ხშირ მომხმარებელს, მომიხდებოდა მისი მისამართით რაიმე აქტივობის, თან კრიტიკულის, გამოჩენა, მითუმეტეს, ღია წერილით, მაგრამ, რამდენიმე დღის წინათ, ლევან მიქელაძის ქ. №3-ში განთავსებულ პოლიკლინიკაში მისვლისას, თვალნათელი გახდა ის, რომ ჩვენში პირველადი ჯანდაცვის სისტემაზე სახელმწიფო ზედამხედველობა სათანადო დონეზე აშკარად არ ხორციელდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ პოლიკლინიკის (შპს „კროლ მედიკალ კორპორეიშენი“) ილია ჭავჭავაძის გამზირის №44-დან ზემოაღნიშნულ მისამართზე, მნიშვნელოვნად ნაკლებ ნაქირავებ ფართში შარშან გადასვლას, მკვეთრად გაუუარესებია როგორც შესანიშნავი ექიმებისა და დამხმარე პერსონალის საქმიანობის, ისე პაციენტთა მომსახურების პირობები, რისთვისაც ჯანდაცვის სამინისტროს ყურადღება დღემდე არც კი მიუქცევია.

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ლაბორატორია, სადაც საანალიზო ნიმუშების მიღებაც და სისხლის აღებაც ხდება, სამი კვადრატული მეტრის ფართში(?!) შეიძლება ფუნქციონირებდეს და პაციენტს, სისხლის აღებისას, ლაბორანტის სამუშაო მაგიდის სიმცირის გამო, მასზე იდაყვის ჩამოდების შესაძლებლობაც კი არ ჰქონდეს.

პოლიკლინიკაში მისულმა პაციენტებმა კი ამბად გავიგეთ, რომ პოლიკლინიკა გასხვისდა (ალბათ, გასაყიდი აქტივი მხოლოდ დარეგისტრირებული პაციენტების რაოდენობაა) და სხვაგან, საბურთალოს უბანში არსებულ, სხვა ასეთივე ტიპის სამედიცინო დაწესებულებასთან შერწყმას უპირებენ.

ეს კი, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ამის განხორციელების შემთხვევაში, პაციენტებს პოლიკლინიკაში მისასვლელად გაცილებით შორს გადაადგილება მოუწევთ. ამ ამბის გაგებამ, განსაკუთრებით ასაკოვანი პაციენტების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, ბატონო ირაკლი, რომ ამ ინფორმაციით გამოწვეული უკმაყოფილება და ასეთი ვითარების შექმნისათვის ხელისუფლებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება უკვე გავრცელებული იქნება არა მარტო ამ პოლიკლინიკის მრავალ პაციენტსა და მათ ახლობლებს შორის.

იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ პირველადი ჯანდაცვის განვითარებას მთავრობაც არ აქცევს სათანადო ყურადღებას, რაზეც მიუთითებს დოკუმენტიც: **„საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია“**, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ჯანდაცვის დაფინანსება გახუთმაგდა, კერძოდ აღნიშნულია: **„გასული ორი ათეული წლის მანძილზე პირველადი ჯანდაცვის სისტემაში არაერთი რეფორმის მიუხედავად, საქართველომ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის ნაკლებად მიმზიდველი და ნაკლებად მოქნილი პირველადი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც არ არის სრულად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე,...პირველადი ჯანდაცვის „მეკარიბჭის როლი“ შეზღუდული რჩება“** (გვ.28). მიუხედავად ასეთი მძიმე შეფასებისა, პრობლემის მოგვარების საშუალებად მიჩნეულია მხოლოდ **„...პირველადი ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა“.** ამავე დროს, ამ სფეროს მკვლევართა ზოგიერთ ნაშრომში, ხაზგასმულია, რომ არსებული ვითარება, **„მიმართული ავადმყოფების წარმოებისკენ“**, განაპირობა **პირველადი ჯანდაცვის სისტემის კერძო სექტორზე გადაცემამ. ვფიქრობ, არც არის აუცილებელი იმის ვრცლად დასაბუთება, რომ პირველადი ჯანდაცვა ვერ იქნება იმდენად მომგებიანი, რომ კერძო სექტორმა სრულყოფილად განავითაროს ეს სფერო და უზრუნველყოს ტერიტორიული ხელმისაწვდომობის აღიარებული კრიტერიუმები და, შესაბამისად, პირველად ჯანდაცვის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს ამ უდავო ფაქტს, ჩემი აზრით, არასრულყოფილია..**

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი არ მეპარება ჯანდაცვის ახლი მინისტრის, ბატონი მიხეილ სარჯველაძის კეთილსინდისიერებასა და კეთილგონიერებაში, მოგმართავთ პირადად თქვენ, ბატონო ირაკლი, რადგან აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სცდება ჯანდაცვის სამინისტროს შესაძლებლობებს.

მიმაჩნია, რომ წინამდებარე წერილზე რეაგირება იქნება კარგი ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად აღიქვა მთავრობის ადმინისტრაციამ თქვენი, ზემოთ აღნიშნული განცხადების შინაარსი.

**კეთილი სურვილებით,**

**ანზორ ჭლიკაძე,**

**საქართველოს კვებისა და გადამმუშავებელი, მრეწველობის ყოფილი მინისტრი.**

anzoritch@yahoo.com
ტელ: 599-56-05-34

# თემო გოცაძის შედევრები გია ჯაფარიძის კერძო გალერეაში მობრძანდა...

(პირველი გვერდიდან)

ამის შემდეგ თემო გოცაძემ შექმნა დიდი ფორმატის, მონუმენტური ხასიათის ფერწერული ნამუშევრები. ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარია „სულიერი საქართველო“, რომელიც 1991 წელს შეიქმნა.

თემო გოცაძე თორმეტ წელიწადს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მთავარ მხატვრად; 1983-88 წლებში იყო თბილისის „მხატვრის სახლის“ დირექტორი; 1989-95 წლებში – საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, 1988-2005 წლებში – „სურათების ეროვნული გალერეის“ გენერალური დირექტორი; 1994 წლიდან მიიწვიეს თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის (შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის) პროფესორად...

საუკეთესო ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად შექმნა ჩვენი სახელოვანი თანამედროვეების (ოთარ ჭილაძის, მარინა ჯანაშიას, თემურ ჩხეიძის) პორტრეტები, მონუმენტური მხატვრობის არაჩვეულებრივი ნიმუშები – კულტურის უნივერსიტეტის მთავარი დარბაზი, მართვის სისტემების ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზი, ახალგაზრდულ ქალაქ „შავნაბადას“ მშვენება – „ფიროსმანი“ და სხვ.



პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისში (ორჯერ), მოსკოვში, ნიუ-იორკში, სან-დიეგოში...

თემო გოცაძის უახლოესმა მეგობრებმა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, ჩვენმა შესანიშნავმა მხატვარმა გია ჯაფარიძემ და აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა 22 მარტს კიდევ ერთხელ გაიხსენეს სახალხო მხატვარი და საზოგადო მოღვაწე, უიშვიათესი პიროვნული ხიბლის მქონე პიროვნება და... ჯაფარიძის კერძო საგამოფენო გალერეაში თემოს ნამუშევრების სახელდახელო გამოფენაზე მიგვიწვიეს.

ხსოვნის საღამო გახსნა ვალერი ასათიანმა. თ. გოცაძის შემოქმედებასა და პიროვნებაზე ისაუბრეს ბატონებმა რადიშ თორდიამ, გურამ ცერცვაძემ, ზესიკ კილასონიამ, იგორ ჩხეიძემ, თემო გოცაძის უმცროსმა ძმამ ერეკლემ, საღამოს მასპინძელმა გია ჯაფარიძემ, ქალბატონმა ნელი კობიაშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა.

გმადლობთ, ბატონო გია, ასეთი დაუვიწყარი მეგობრობისა და მასპინძლობისთვის!

**სპარტაკ ქობულია**



# კართაგენი უნდა დაინგრეს!

## რატომ არ მთავრდება ომი უკრაინაში?

### უკრაინაში მიმდინარე ომს, ისევე როგორც ყველა მოვლენას, აქვს თავისი წარსული და მისი გახსენების გარეშე რთულია, უპასუხო კითხვას – რატომ ვერ ხერხდება ომის დასრულება?

**2006 წელი – რუსეთსა და დასავლეთს შორის ნელთბილი სიამტკბილობა სუფევს. 5 დეკემბერს კი გერმანიის პატარა ქალაქ მეტლახში ე.წ. „ვაიმარის სამეულის“ (გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი) ლიდერები შეიკრიბნენ. იმ შეხვედრაზე პოლონეთმა უკრაინისათვის ევროპული პერსპექტივის გახსნის საკითხი დააყენა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაეწყოთ უკრაინის სულ უფრო მჭიდრო მიბმა ევროკავშირთან, რაც ბუნებრივად გულისხმობდა უკრაინის გამოგლეჯას რუსეთის გავლენის სფეროდან. სიტყვას საქმეც მოჰყვა. 2009 წელს შეიქმნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტი, რომელმაც მოიცვა როგორც უკრაინა, ასევე ევროპასთან გეოგრაფიულად მიახლოებული ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა. შემდეგ იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რასაც უკრაინის მაშინდელმა ხელისუფლებამ ხელი არ მოაწერა, შემდეგ „მაიდანი“, საპასუხოდ – რუსეთის მიერ უკრაინის ყირიმის და სხვა რეგიონების ნაწილის ანექსია, ხოლო 2022 წელს კი რუსეთის პირდაპირი სამხედრო შეჭრა უკრაინაში და მისი სხვა რეგიონების ოკუპაცია.**

კიდევ ერთხელ დავბრუნდეთ წარსულში. 2014-2015 წლები – ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლებში რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ფორმირებებთან, უკრაინა მარცხს მარცხზე განიცდის. ახალი ტერიტორიების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, 2015 წელს გერმანია და საფრანგეთი არწმუნებენ უკრაინას, რომ მინსკში ხელი მოაწეროს მისთვის არამომგებიან ზავის შეთანხმებას რუსეთთან. 2022 წელს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გერმანიის მაშინდელი კანცლერი **ანგელა მერკელი** აღიარებს , რომ მინსკის შეთანხმება მხოლოდ უკრაინისთვის სულის მოთქმის და გაძლიერების საშუალება იყო და მის შესრულებას არავინ აპირებდა. ეს პერიოდი მართლაც მოხმარდა უკრაინის სამხედრო პოტენციალის გაზრდას დასავლეთის დახმარებით.

**რუსეთი ხედავს, რომ უკრაინას „კარგავს“ და შესაძლოა დაკარგოს კონტროლი სეპარატისტულ პრორუსულ რეგიონებზეც, გამომდინარე მძიმე შედეგებით. იმ დროისათვის, უკრაინის არმიას უკვე სავსებით შეეძლო ამ რეგიონებზე კონტროლის აღდგენა და აპირებდა კიდეც. უფრო მეტიც, რუსეთში ყალიბდება რწმენა, რომ მას ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება, თუ უკრაინა სეპარატისტულ რეგიონებს დაიბრუნებს და მისი ინტეგრაცია NATO-ში დაჩქარდება. მას აღარ სჯერა დასავლეთის დაპირების, რომ ეს არ მოხდება.**

2021 წლის დეკემბერში რუსეთი უკვე წერილობითი ფორმით ოფიციალურად ითხოვს აშშ-სგან და NATO-სგან უსაფრთხოების გარანტიებს, და მთავარი მოთხოვნა NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერებაა. ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ეს მოთხოვნა კრემლს და პუტინს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თავზე გადაახიეს. 2022 წლის თებერვალს კი რუსეთი იწყებს ე.წ. „სპეცოპერაციას“ უკრაინაში, „ბლიცკრიგი“ არ გამოსდის და ომი გაჭიანურებულ ხასიათს იღებს. არაა გამორიცხული, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, პუტინმა დასავლეთისგან ასეთი დამცირება ვერ გადახარშა.

აშშ და ევროპა კი თვლიან, რომ უკრაინის სახით ხელში ჩაუვარდათ „ლიმონი“, რომლისგანაც შეუძლიათ გააკეთონ „ლიმონათი“ – რუსეთის სტრატეგიული დამარცხება და მასზე დასავლეთის ამჯერად საბოლოო გამარჯვება.



იმისათვის, რომ უკრაინაში ომის გაგრძელება გაამართლონ თავიანთი საზოგადოებების წინაშე, დასავლელი ლიდერები ერთხმად ამტკიცებენ, რომ თუ რუსეთი უკრაინაში გაიმარჯვებს, ის ევროკავშირის სხვა ქვეყნებსაც (პოლონეთს, ბალტიის ქვეყნებს) გადასწვდება. საზოგადოებაზე კი ასეთი არგუმენტები მოქმედებს. თუმცა, საეჭვოა დასავლელ პოლიტელიტებს თავად სჯეროდეთ ამის. რუსეთმა უკრაინის დამორჩილება ვერ მოახერხა ორი წელი და რთული წარმოსადგენია მასზე ათჯერ ძლიერ NATO-სთან სამხედრო შეჯახება გაბედოს, მით უმეტეს უკრაინის ომით გამოფიტულმა.



კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს უკრაინაში ომის გაგრძელებას, არის ის, რომ დასავლეთი დღეს სრულიად განსხვავებულია, ვიდრე 30 წლის წინ. ევროპის ის თაობა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის საშინელებები და გაკვეთილები ახსოვდა, წავიდა. ევროპის ამჟამინდელი ელიტებისთვის კი ეს მხოლოდ ისტორიაა. ევროპული პოლიტელიტები ახალ პლატფორმაზე გადაერთნენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილი ძალისმიერი გზით დაიცვან თავიანთი ლიბერალური იდეოლოგია და პროდასავლური მსოფლიო წესრიგი. უკრაინის ომმა დასავლურ და განსაკუთრებით ევროპული ელიტების ცნობიერებაში მოახდინა ის გარდატეხა, რასაც რუსეთში, როგორც ჩანს, ნაკლებად ელოდნენ. არადა, უნდა სცოდნოდათ, რადგანაც დასავლური ელიტების რამდენიმე თაობა ტოტალიტარულ რუსეთთან კონფრონტაციის სულისკვეთებით გაიზარდა და ეს სულისკვეთება არსად გამქრალა, პერიოდული „გადატვირთვების“ მიუხედავად.

მათ მიიჩნიეს, რომ უკრაინაში შეჭრით რუსეთმა დასავლეთი დუელში გამოიწვია. თან ფიქრობენ, თუ რა დამანგრეველი ტექტონიკური ძვრები მოხდება დასავლეთის პოლიტიკურ სისტემასა და საზოგადოებაში, თუ მათ რუსეთს გამარჯვების საშუალება მისცეს. მათ აქვთ ერთგვარი ფანატიკური რწმენა, რომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს და სწორედ ეს განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას უკრაინის ომის მიმართ. თუმცა, არ ივიწყებენ არც მათთვის დამახასიათებელ პრაგმატულ მიდგომებსაც.

**დასავლეთის ლიდერებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ უკრაინის დახმარება კარგი ინვესტიციაა დასავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. რაც არ უნდა ცინიკურად ჟღერდეს, ეს ასეა და უკრაინის მეშვეობით დასავლეთი ფიტავს რუსეთს, გარდა იმისა, რომ დასავლეთის და უპირველეს ყოვლისა აშშ-ს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ფანტასტიურ მოგებას პოულობს უკრაინის ომზე. დასავლურმა საერთაშორისო კორპორაციებმა უკვე დაადგეს თვალი უკრაინის სიმდიდრეებს. არ დაგვავიწყდეს, რომ უკრაინას დასავლეთის უზარმაზარი ვალების გასტუმრება მოუწევს და საეჭვოა ეს მოახერხოს. ისეთ „გემრიელ ლუკმას“ როგორიც უკრაინაა, დასავლეთი რუსეთს აღარ დაუბრუნებს, თუნდაც მისი ნაწილი ერგოს. ის კი არა, დღეს გერმანია და საფრანგეთი ლამის ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ იქნება ევროპის ლიდერი ნეოიმპერიული რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ფრონტზე.**

მცირეა იმის იმედი, რომ ევროპარლამენტის არჩევნები ივნისში, შეცვლის ევროპის მიდგომას უკრაინაში ომის მიმართ, თუ ფრონტზე რადიკალური ძვრები არ მოხდა.

**ფაქტია, რომ აშშ და ევროპა უკრაინის ომისგან ჯერ არ გადაღლილან და ლატვიის პრეზიდენტის გუშინწინდელი განცხადება, რომ „კართაგენი (რუსეთი) უნდა დაინგრეს“, არის დასავლეთის პოზიციის გამოხატულება – ომი უნდა გაგრძელდეს.**

ომის შეწყვეტას ასევე ეწინააღმდეგება დასავლეთის ექსპერტთა წრეების უმრავლესობა. მაგალითად, NATO ანალიზით, უკრაინა შეძლებს რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს 2024 წლის განმავლობაში და დაიკავოს „ძლიერი პოზიცია“ 2025 წელს, თუ აშშ და ევროპა გააგრძელებენ კიევისთვის სამხედრო და ფინანსურ დახმარებას. დასავლეთში თვლიან, რომ თუ ისინი მკაფიოდ მიახვედრებენ რუსეთს, რომ დასავლეთის მხრიდან უკრაინის დახმარება არ შეწყდება, რუსეთი უკან დაიხევს და კომპრომისის ძებნას დაიწყებს. ბრიტანული RUSI-ს ანალიზით, რუსეთს მხოლოდ 2-3 წელი თუ შეუძლია ომის წარმოება.

**რა ხდება რუსეთში? კრემლი, რომელიც კარგად აცნობიერებს, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს უკრაინაში მის სტრატეგიულ დამარცხებას, დასავლეთს უგზავნის ორ სტრატეგიულ გზავნილს:**

**1. ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტთან ტაკერ კარლსონთან სპეციალურად ორგანიზებული ინტერვიუს მეშვეობით პუტინი დასავლეთს ეუბნება, რომ არ აპირებს თავს დაესხას ევროკავშირს უკრაინაში გამარჯვების შემდეგ;**

**2. ემუქრება ბირთვული ომით, თუ დასავლეთი გააგრძელებს უკრაინის დახმარებას და რუსეთის „სტრატეგიულ დამარცხებაზე“ მუშაობას. რუსეთს ფაქტიურად უკანდასახევი გზა მოუჭრეს, ან შესაძლოა თავად მოიჭრა, როდესაც უკრაინასთან ომში შევიდა.**

როგორც ჩანს რუსეთის ელიტებში ამ ეტაპზე არც კი ფიქრობენ ომის დასრულებას, რადგანაც ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ომს საკუთარ პირობებზე დაასრულებენ. სოციოლოგიური გამოკითხვებით, რუსების დიდი ნაწილი 2024 წელს ომის დასრულებას ელოდება. მაგრამ იმ დათქმით, რომ რუსეთმა უნდა გაიმარჯვოს. რაც მთავარია, უკრაინის დაპყრობილი რეგიონები რუსეთმა კონსტიტუციით უკვე საკუთარ შემადგენლობაში შეიყვანა. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს მისთვის კონსტიტუციის ხელახლა შეცვლა, თუ ომის შედეგად უკრაინის დატოვება მოუწია?!

**უკრაინა კი, რომელიც დღეს მთლიანად დასავლეთის სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებაზეა ჩამოკიდებული, ხვდება, რომ ომის დასრულება, ან თუნდაც დროებითი ზავი, მისი გადასაწყვეტი აღარ არის. კიევის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ხომ თავად აღიარეს, რომ 2022 წელს დასავლეთმა (კერძოდ ბრიტანეთმა) მათ ამის უფლება არ მისცა.**

**ის, რომ ამ ეტაპზე ომში ჩართულ მხარეებს არა თუ არ სურთ, არამედ, უბრალოდ, არ შეუძლიათ ომის დამთავრება, ცხადზე ცხადია. ძალზედ დიდია პოლიტიკური ფასიც და სტრატეგიული ფსონიც. ფსიქოლოგიურად ომიდან გამოსვლა ხშირად იმაზე არანაკლებ რთულია, ვიდრე ომში შესვლა, მით უმეტეს თუკი სასურველი შედეგი ვერ მიიღე.**



**ზაალ ანჯაფარიძე**

## არა ოდენ საქართველოს საწუხარი



**პარიზის, ლონდონის და რომის ცენტრალურ უბნებში შობადობა კატასტროფულად მცირდება!**

**ბერლინი კი უკვე „შეჭამეს“ მიგრანტებმა...**

# ევროპის ქვეყნების დემოგრაფია

**საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლების ანალიზი ძირითადად ხდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. მას შემდეგ, რაც საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, დიდ ინტერესს იწვევს ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს დემოგრაფიული ვითარების ურთიერთშედარება.**

საქართველომ 2023 წლის ბოლოს მოიპოვა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. მას ეს სტატუსი უნდა მიეღო ერთი წლით ადრე, უკრაინასა და მოლდავეთთან ერთად, მაგრამ ნაციონალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა არ გამხდარიყო. ძნელია მოინახოს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ოპოზიციური პარტია ასე მიზანმიმართულად ანგრევდეს თავის ქვეყანას, როგორც ამას აკეთებდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით. ადრეც და 2023 წელსაც ხელისუფლება მათი გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას მოუნდა. მიუხედავად ამისა, საქართველო კანონის უზენაესობის, კორუფციის კონტროლის, ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის ინდექსებით მოწინავე ქვეყნების რიგში იდგა. ყველაზე ხშირად ბრძოლა დეზინფორმაციასთან, სიცრუის ნიაღვართან გვიწევდა, რომელსაც ნაციონალები აწარმოებდნენ. საბოლოოდ ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალები და მათი მხარდამჭერი ევროპელი პარლამენტარები დამარცხნენ. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო წარსულის დიდი კულტურული მემკვიდრეობის, მოსახლეობის, განათლების მაღალი დონის, ქრისტიანობის ზნეობრივი საფუძვლის მქონე ქვეყნისათვის.

1919 წელს მოსკოვში გამოიცა ა.ნ. მაქსიმოვის წიგნი **„რომელი ხალხები ცხოვრობენ რუსეთში“.** ავტორი ქართველებს დიდი სიმპათიით იხსენიებს და წერს: „ქართველებს აქვთ თავიანთი ვრცელი და მდიდარი ლიტერატურა, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული, აქვთ მრავალრიცხოვანი გაზეთები და ჟურნალები, აქვთ თავისი თეატრი, ჰყავთ თავისი ინტელიგენცია, თავისი პოლიტიკური პარტიები, ერთი სიტყვით, სულიერად და პოლიტიკურად ისინი სავსებით ევროპული კულტურის დონეზე დგანან. ქართველები გამსჭვალულნი არიან თავისი ქვეყნის ღრმა სიყვარულის გრძნობით და უკიდურესად უჭირთ თავისი ქვეყნის დატოვება“.

საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს იმ მხრივაც იმსახურებდა, რომ მისი მოსახლეობის განათლების დონე მაღალი იყო. მე-20 საუკუნეში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე ბევრად მაღალი იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. კერძოდ, მოსახლეობის აღწერების მონაცემების თანახმად 1959, 1970 და 1979 წლებში საქართველოში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 10 წლისა და უფროს ასაკში უმაღლესი განათლება ჰქონდა გაცილებით მეტ კაცს, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მაგალითად, 1959 წელს საქართველოში უმაღლესი განათლება ჰქონდა ყოველ 1000 კაცზე 48 კაცს, რუსეთში – 2-ჯერ ნაკლებს – 24 კაცს, უკრაინაში – 21 კაცს, ლატვიაში – 25 კაცს და ა.შ. 1970 და 1979 წლებშიც ანალოგიური ვითარება იყო. იმავე წლებში დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადი საშუალო განათლება საქართველოში გაცილებით მეტ კაცს ჰქონდა მიღებული, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში.

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატ წევრად გახდომის საკითხის გადაწყვეტაში გარკვეული მნიშვნელობა უნდა გაეწიათ იმ ფაქტისთვისაც, რომ საქართველოს უაღრესად მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან. ამასთან, ცნობილი უცხოელი და ქართველი მეცნიერებიც აღნიშნავენ, რომ სამხრეთ ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე ქართველური ტომებიც ცხოვრობდნენ და იქ მათ დიდი კულტურა შექმნეს, რომელიც შემდეგ გააგრძელეს და უმაღლეს დონეზე აიყვანეს იქ მოსულმა ბერძნებმა. ამის შესახებ სათანადო ცნობებიც არის დაცული. 1627-1654 წლებში საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა მხატვარი და სწავლული აღმოსავლეთმცოდნე დონ ქრისტოფორო დე კასტელი, რომელმაც ამ წლებში დაწერა:

„ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა. იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი (წინამძღოლნი) იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა. იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია“.

ზემოთ აღნიშნული იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ ევროკავშირში საქართველოს კანდიდატ ქვეყნად მიღების საკითხის განხილვის დროს მისი მდიდარი წარსული ცხოვრების ნიშანდობლივი მხარეც გარკვეულწილად უნდა მიეღოთ მხედველობაში და შერეკილი ნაციონალების ეროვნული გრძნობებისგან დაცლილი ნაბოდვარი ობიექტურად უნდა გაერჩიათ ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების არსებული ვითარებისაგან.

ევროკავშირის ქვეყნები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიცხოვნობის მიხედვით. კერძოდ, 2023 წლის დასაწყისში მალტაში 542 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო გერმანიაში 84,4 მილიონი. ამასთან, კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდში ევროკავშირის მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის 278 ათასი კაცით შემცირდა 2020 წლისათვის და 339 ათასი კაცით 2021 წლისათვის, ანუ 617 ათასი კაცით ორ წელიწადში.

**ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა**

**ევროსტატის მონაცემების მიხედვით 2020 წლის 1 იანვრისათვის**

| ქვეყნები | მოსახლეობა | ქვეყნები | მოსახლეობა | ქვეყნები | მოსახლეობა |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 83092962 | ჩეხეთი | 10671870 | ირლანდია | 4934340 |
| საფრანგეთი | 67248926 | პორტუგალია | 10286263 | ხორვატია | 4067206 |
| იტალია | 59729081 | შვედეთი | 10278887 | ლიეტუვა | 2794137 |
| ესპანეთი | 47134837 | უნგრეთი | 9771141 | სლოვენია | 2088385 |
| პოლონეთი | 37965475 | ავსტრია | 8879920 | ლატვია | 1913822 |
| რუმინეთი | 19371648 | ბულგარეთი | 6975761 | ესტონეთი | 1326898 |
| ნიდერლანდები | 17344874 | დანია | 5814422 | კვიპროსი | 881952 |
| ბელგია | 11488980 | ფინეთი | 5521606 | ლუქსემბურგი | 620001 |
| საბერძნეთი | 10721582 | სლოვაკეთი | 5454147 | მალტა | 504062 |

2020 წლის 1 თებერვლიდან ევროკავშირის წევრების რიცხვი 27-მდე შემცირდა, მას შემდეგ რაც მის შემადგენლობიდან დიდი ბრიტანეთი გამოვიდა.

ამჟამად გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში ევროკავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) ცხოვრობს.

**2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ევროკავშირის ტერიტორიაზე 448,4 მილიონი კაცი ცხოვრობდა, გაცილებით მეტი, ვიდრე წინა წელს. მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა ძირითადად უკრაინიდან მიგრაციული ნაკადების შედეგად, მაშინ როდესაც ევროკავშირში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ბუნებრივ კლებას – გარდაცვლილები ჭარბობდნენ დაბადებულებს.**

მიგრანტები ზოგიერთ ქვეყანაში საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილები არიან. მაგალითად, ნიდერლანდები გამოირჩევიან საკმაოდ ლოიალური დამოკიდებულებით მიგრანტების მიმართ. ნიდერლანდებში მიგრანტები არა მარტო საცხოვრებელ ბინას, არამედ სამედიცინო მომსახურებასაც იღებენ, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის გამო. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში მიგრანტები ევროკავშირის ქვეყნებიდანაც ცდილობენ მოხვედრას. მაგალითად, ლატვიაც ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ლატვია არის ევროკავშირის წევრი, კავშირმა მიიღო კვოტები ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან აქ ლტოლვილების განსახლებაზე. შვედეთმა კიდევ ფართოდ გაუღო კარები მიგრანტებს. ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც თითქმის ანალოგიური ვითარებაა.

ამჟამად მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის დეპოპულაცია დადასტურდება, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა მცირდება და მომდევნო თაობების რიცხვი ნაკლებია წინაზე. განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში აღინიშნება შობადობის ვარდნა, მოსახლეობის დაბერება, აბორტების რიცხვის ზრდა, სულ უფრო მცირდება მოთხოვნა ოჯახსა და ბავშვებზე. ექსპერტები ამ მოვლენას 2009 წლის ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ევროპისა და გერმანულენოვან ქვეყნებში შობადობის დონე განსაკუთრებით დაბალია. სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2009 წლიდან ევროპაში იზრდება მრავალშვილიანი – სამი და მეტბავშვიანი ოჯახები. ეს მოვლენა განაპირობა უმთავრესად პაკისტანიდან, ავღანეთიდან, ბანგლადეშიდან, ნიგერიიდან იმიგრაციული პროცესების გაზრდამ ევროკავშირის ქვეყნებში. ხშირად გარედან მიგრაცია ხორციელდებოდა მთელი ოჯახებით, ტრადიციულად კი მიგრანტთა ოჯახებს მრავალი შვილი ჰყავთ.

**ევროპის მცხოვრებნი შეშფოთებულები არიან მიგრაციული პროცესებით, რადგან იმიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის სტრუქტურაზე, მოსახლეობის სოციალურ და ეროვნულ შემადგენლობაზე, განლაგებასა და განსახლებაზე. „ისინი თვლიან, რომ შობადობის ფინანსური სტიმულირება უნდა შეეხოს მხოლოდ მკვიდრ მოსახლეობას, რადგან სხვაგვარად ბავშვები მომავალში უმცირესობაში დარჩებიან მტრულად განწყობილი მიგრანტების გარემოცვაში. გამოკითხვები გვიჩვენებენ, რომ ევროპის ახალგაზრდების უმრავლესობა შიშობს იყოლიოს ბავშვები მომავალში, სიფრთხილით ეკიდება არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხს“ (ე. შჩერბაკოვა).**

ევროკავშირის ქვეყნების მიგრაციული კრიზისის მიზეზები დაკავშირებულია ამ ქვეყნებში არსებულ კრიზისებთან, რომელთა პოლიტიკური გადაწყვეტა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამასთან, ცხადია, მიგრანტების მორიგი ტალღები მთლიანობაში შესამჩნევად გააუმჯობესებს ევროპის ქვეყნების დემოგრაფიულ მაჩვენებლებს მკვიდრი ეროვნების საზიანოდ. თუ მიგრანტების ასაკობრივ განაწილებას მივიღებთ მხედველობაში, მწვავე პრობლემები მომავალში შესამჩნევად გაიზრდება. მკვიდრი ევროპელი ხალხების შეცვლა სხვა კულტურის, ცხოვრების წესის, რელიგიური მრწამსის მოსახლეობით კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან სტატისტიკის მიხედვით, მიგრანტთა ნახევარი თითქმის 18-59 წლების ასაკშია, ხოლო 60 წელს გადაცილებული ადამიანები 3 პროცენტს შეადგენენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ შობადობის ჯამური კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას, იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა ისლამს აღიარებს, 3-ზე მეტს შეადგენს, ხოლო ევროპაში – 2-ზე ნაკლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შობადობა ევროპის ქვეყნებში მცირდება. სწორედ ამიტომაა, რომ პარიზის ცენტრში შობადობის დონე დაბალია, ხოლო მის გარეუბანში, სადაც მიგრანტთა ოჯახები ცხოვრობენ – მაღალი. ეს მოვლენა მიგრანტთა ახალი ნაკადების შემოსვლის გარეშეც, მკვიდრი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას იწვევს.

იხ. 9 გვ.

# „ისლამური სახელმწიფოს“ მიზნები





**სანამ შეერთებული შტატები, ევროპა, რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთის მიმართ მუქარით არიან დაკავებულები, ტერორისტულად აღიარებული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ მათ წინააღმდეგ უკვე ომობს. ისინი უკრაინაში და ღაზას სექტორში კონფლიქტით სარგებლობენ და ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდნენ“,** – წერს ამერიკული Wall Street Journal.

**„ისლამური სახელმწიფო“ – ისინი ყველა მუსლიმური რწმენის მტრები არიან და ყველა უნდა განადგურდეს“,** – წერს WSJ-ის ორი რეპორტიორი, რომლებმაც თავიანთი კარიერა გაატარეს ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ კონფლიქტების გაშუქებაში.

**რეპორტიორები წერენ, რომ ISIS-ს რუსეთთან სიძულვილის დიდი ისტორია აქვს. 2015 წელს დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა ეგვიპტიდან აფრენილი რუსული ავიახაზების თვითმფრინავის აფეთქებაზე. ბორტზე 224 ადამიანი იმყოფებოდა. 2022 წელს „ისლამური სახელმწიფო“ ქაბულში რუსეთის საელჩოს თავს დაესხა – დაიღუპა ორი რუსი დიპლომატი და ოთხი ავღანელი. გასულ პარასკევს კი, ISIS-ის მებრძოლები თავს დაესხნენ მოსკოვის Crocus City Hall-ის საკონცერტო დარბაზს, რის შედეგადაც 130-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.**

კრემლის წინააღმდეგ ისლამისტების ისტორიულ დაპირისპირებას შორისაა ავღანეთისა და ჩეჩნეთის ომები. ამჟამად ISIS გაბრაზებულია რუსული ოპერაციების გამო სირიასა და დასავლეთ აფრიკაში.

### რატომ შეუტია „ისლამურმა სახელმწიფომ“ საკონცერტო დარბაზს მოსკოვში?

რეპორტიორები წერენ, რომ რუსეთის ლიდერი **ვლადიმერ პუტინი** წარმოჩინდა, როგორც მუსლიმების მტერი და მათი დევნის წყარო რუსეთში.

„კროკუსზე“ თავდასხმა ავღანეთის ISIS-ის **ვილაიათ ხორასანს** მიეწერება. WSJ-ის ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ის წარმოიშვა 2015 წელს აღმოსავლეთ ავღანეთში, სადაც ოდესღაც **ოსამა ბინ ლადენი** იმალებოდა და თავდაპირველად მისი სამიზნე, ძირითადად, ადგილობრივი შიიტური თემი იყო, რომელიც ISIS ქმედებას აკრიტიკებდა და სამშვიდობო მოლაპარაკებას აშშ-სთან აწარმოებდა.

**„ამჟამად რუსეთზე ISIS-ხორასანის მიერ განხორციელებულ თავდასხმაზე გავლენა „თალიბანმა“ იქონია. „თალიბანი“ არის „ისლამური სახელმწიფოს“ ყველაზე საშიში დაჯგუფება, რომელსაც სხვა დაჯგუფებები ბაძავენ“,** – განუცხადა Wall Street Journal-ს ვაშინგტონში მდებარე Wilson Center-ის სამხრეთ აზიის ინსტიტუტის დირექტორმა **მაიკლ კუგელმანმა.**

WSJ-ის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ავღანურმა დაჯგუფებამ გადაწყვიტა საზღვრების გაფართოება, რადგან სირიასა და ერაყში მან სრული დამარცხება განიცადა“. რუსეთში შეჭრა სწორედ ამ ნიმუშს ერგება, აღნიშნავს **ლუკას ვებერი,** სამხედრო კონფლიქტების კვლევის ცენტრის Militant Wire-ის თანადამფუძნებელი.

### მიგრანტების დაქირავება

**„ისლამური სახელმწიფოს“ სტრატეგია არის იშვიათი თავდასხმა, მაგრამ ზუსტი“,** – განუცხადა გაზეთს **რიკარდო ვალემ** ისლამაბადის ჯიჰადისტური კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა. მისი თქმით, მათი მიზანია გამძლეობა და ძალის იმიჯის შექმნა, რათა მიმდევრები მიიზიდონ. „ისლამური სახელმწიფო“ მზად არის მოთმინებით დაელოდოს შესაფერის მომენტს დარტყმისთვის“.

**„დღეს ისინი მოსკოვში არიან. ცოტა ხნის წინ ირანში იყვნენ. იქნება მეტი თავდასხმები, შესაძლოა, სხვა დედაქალაქებშიც კი“,** – განუცხადა WSJ-ს სამხედრო ანალიტიკოსმა და თურქეთის არმიის ყოფილმა პოლკოვნიკმა, **მურატ ასლანმა.**

WSJ-ის ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ უკრაინაში ომის დაწყებისთანავე, ისლამისტებისთვის სულ უფრო ადვილი ხდება მიგრანტების გადაბირება ცენტრალური აზიიდან, განსაკუთრებით კი რუსეთიდან.

„ხელისუფლების დამოკიდებულება მიგრანტების მიმართ, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მათ რადიკალიზაციას“, – ციტირებს გაზეთი ვაშინგტონში ყირგიზეთის ყოფილი ელჩის, კადირ ტოქტოგულოვის სიტყვებს.

Wall Street Journal-**დან თარგმნა**

**ქეთი გიორგაძემ**



# „ანაკონდას მარყუჟი“ რუსეთისთვის

(მესამე გვერდიდან)

**„ამიტომ, ვითარება კი არ მიდის კონსერვაციისკენ, არამედ, სამხედრო მიმართულებით, სიტუაცია შეიძლება გამძაფრებამდე მივიდეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, არ უნდა დავდუმდეთ და დავიწყნაროთ საკუთარი თავი. ჩვენ შესაძლოა მოვიგერიეთ პირველი კონკრეტული პროვოკაციები მეორე ფრონტის გახსნის თვალსაზრით, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. შესაძლოა, ამ მოწოდებებმა და პროვოკაციებმა აწი კიდევ უფრო მეტად იმატოს ჩვენთან მიმართებით. ამიტომ, ჩვენი სპეცსამსახურები და ხელისუფლება უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, იმისთვის, რომ ნებისმიერი რისკები გათვალოს წინმსწრებად.**

**კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სუსის სპეცოპერაცია, რადგან იმ მომენტში, ამ ასაფეთქებელი ნივთიერებით რუსეთის რომელიმე ქალაქში სტადიონი აეფეთქებინათ, ან საკონცერტო დარბაზი და ამ გამანადგურებელი იარაღის მოწოდების მხარედ საქართველო დასახელებულიყო, წარმოიდგინეთ, რამხელა შარში ჩავარდებოდა ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხელისუფლება.**

**რუსეთში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ვნახეთ დიმიტრი მედვედევის განცხადება – სიკვდილი სიკვდილის წილ!..**

**რა ფორმით განხორციელდება რუსეთის მხრიდან შურისძიება, არავინ იცის. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა საქართველო, ჩვენს სპეცსამსახურებს რომ არ შეეჩერებინათ თავის ტერიტორიაზე უკრაინიდან რუსეთისკენ მიმავალი, ტერორისტული აქტების ჩასადენად განკუთვნილი ტვირთი. უბრალოდ, ერთი წამით მაინც წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა. უბრალოდ, დაფიქრდით ამაზე და უპასუხეთ მარტივ შეკითხვას – „მეორე ფრონტის“ საფრთხის მიმართ გვაქვს თუ არა მოდუნების უფლება?“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

მოდუნების უფლება რომ არ გვაქვს ამის შესახებ საუბრობს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი,** რომლის განცხადებით, „მეორე ფრონტის“ გახსნის საფრთხე ძალიან რეალურია და ძალიან ახლოს ვდგავართ ამ საფრთხესთან, განსაკუთრებით ბოლო პროცესების გათვალისწინებით.

**„ეს არის პესკოვის განცხადება, ეს არის ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში და მისი ფიქსირებული პოზიცია, ასევე, ეს არის ნატოს ოფიციალური განცხადება პესკოვის განცხადებასთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, ტერორისტული აქტი. ეს არის ერთმანეთთან მყარად დაკავშირებული პროცესები, მათ შორის საქართველოში ტერორიზმის კუთხით დაკავებულ პირებთან დაკავშირებით და ვფიქრობ, რომ საფრთხე არის რეალური და ძალიან ახლოს“,** – აცხადებს **კუხალაშვილი.**



მისივე თქმით, გონივრული ნაბიჯები თუ არ გადაიდგა, შესაძლებელია, საქართველო ჩათრეულ იქნას ამ ომში და ამ შემთხვევაში, მარტო სიფრთხილე არაფერს გვიშველის. ამ შემთხვევაში ეს არის დიპლომატიური ძალისხმევა, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და კონკრეტული უწყებების აქტიური საქმიანობა, რომ მაქსიმალური კონტროლი დაწესდეს როგორც საბაჟო ტვირთების გადაზიდვების კუთხით, ასევე სასაზღვრო მიმართულებაზე.

**„და არა მარტო იქ, სადაც ჩვენ კონტროლს ვახორციელებთ, არამედ იმ ტერიტორიებზე, სადაც მოწყვლადი ზონები გაგვაჩნია. ეს არის ძირითადი მიმართულებები, რაზედაც განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს. დანარჩენი, ეს არის წონასწორობა და ნეიტრალიტეტი, როგორც ერთ-ერთი გამოსავალი. რაღაცანაირად უნდა მივაღწიოთ იქამდე, რომ გადანაწილების პროცესამდე შევინარჩუნოთ მშვიდობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ამ ახალი გადანაწილების პროცესს ჩვენ შევხვდეთ სახელმწიფოებრიობის გარეშე“,** – აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

# ევროპის ქვეყნების დემოგრაფია

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ევროკავშირში მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა სწრაფად იზრდება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. კერძოდ, თუ 1960 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 69 წელს შეადგენდა, 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 81,3 წელი შეადგინა. ამ მოვლენას რამდენიმე ფაქტორით ხსნიან: ჩვილთა მოკვდაობის შემცირებით, ცხოვრების დონის ამაღლებით, ცხოვრების წესის გაუმჯობესებით, განათლების დონის ამაღლებით და ჯანმრთელობის დაცვასა და მედიცინაში მიღწევებით.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ 80,1 წლამდე შემცირდა 2021 წელს, რადგან პანდემიამ უმეტესად 80 წელს გადაცილებული ადამიანები შეიწირა. დემოგრაფიული პროგნოზის მიხედვით, 80 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა გადააჭარბებს 20 წლამდე ადამიანების რაოდენობას, რაც მრავალი მწვავე სოციალური პრობლემის წინაშე დააყენებს ევროკავშირის მოსახლეობას.

გაეროს დემოგრაფიული კლასიფიკაციით მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა წილი 7 პროცენტზე მეტია. ევროკავშირის ქვეყნებში სწორედ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი და, მაშასადამე, მასში შემავალი ქვეყნების მოსახლეობა დაბერებულია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 65 წელს გადაცილებული ადამიანები ევროკავშირში შეადგენენ მოსახლეობის მეხუთედს, ხოლო 80 წლისა და უფროსი ასაკის პირები გაორმაგდა უკანასკნელ ორ ათწლეულში. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებში ქალები 5 პროცენტით ჭარბობენ მამაკაცებს. 2021 წელს ევროკავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ ქალებისათვის 82,8 წელი და მამაკაცებისათვის – 77,2 წელი შეადგინა.

**აღსანიშნავია, რომ იტალიაში ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია შობადობის მაჩვენებელი. მოსახლეობის დაბერება იტალიაში ბევრად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. იტალიაში შობადობის კრიზისი ეროვნული მასშტაბის საგანგებო ვითარებად მიაჩნიათ.**

დემოგრაფიული პროგნოზის მიხედვით საუკუნის ბოლოს, 2100 წელს ევროკავშირის მოსახლეობა შეიძლება 27,3 მილიონით შემცირდეს. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ელოდებიან მოსახლეობის ზრდას მიგრანტების ხარჯზე, უმეტესად მცირერიცხოვან ქვეყნებში, მაგალითად, დანიაში, კვიპროსში, ლუქსემბურგში, მალტასა და ისლანდიაში.

**როგორც ჩანს, საქართველოც, როგორც მცირერიცხოვანი ქვეყანა, ვერ აცდება მოსახლეობის ზრდას მიგრაციის ხარჯზე, თუ სპეციალურ დამცავ ღონისძიებებს არ გავატარებთ.**



**ანზორ თოთაძე**



# „ტერორისტული საფრთხის დონეს“ უმაღლეს დონემდე ზრდიან

ეროვნული თავდაცვის საბჭოს სხდომის შემდეგ, საფრანგეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში ტერორისტული საფრთხის დონე უმაღლეს დონემდე გაზარდა.

**„მოსკოვში განხორციელებული (ტერორისტული) თავდასხმის შემდეგ, მეორე დღესვე პრეზიდენტმა დღეს საღამოს თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გამართა. იმის გათვალისწინებით, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო პასუხისმგებლობა თავდასხმაზე და იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რომლის წინაშე ჩვენი ქვეყანა დგას, ჩვენ გადავწყვიტეთ Vigipirate-ის (კონტრტერორისტული გეგმის) უმაღლეს დონემდე გაზრდა: თავდასხმის გადაუდებელი საფრთხე“**, – აღნიშნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, **გაბრიელ ატალმა.**

# აზერბაიჯანი ტერაქტს გადაურჩა...




**აზერბაიჯანში ამხილეს პირები, რომლებიც ტერაქტების განხორციელებას გეგმავდნენ,** – აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედიასაშუალებები ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებენ.

დაკავებულია აზერბაიჯანის მოქალაქე ბაჰრუზ ასკეროვი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ქალაქ მურმანსკში ცხოვრობს. მათივე ცნობით, აღნიშნული პირი სხვა პირებს დაეკონტაქტა აზერბაიჯანში ტერორისტული აქტის მოწყობის მიზნით, რასაც ადამიანების სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა.

კერძოდ, გამოძიების მიხედვით, ასკეროვი აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ პირებთან საიდუმლო კავშირს ამყარებდა და აძლევდა განკარგულებებს, რათა აზერბაიჯანის სამხრეთით მდებარე ქალაქ ლენქორანის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურზე თავდასხმა მოეწყოთ. ასევე, გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ბაჰრუზ ასკეროვმა დაავალა მოკავშირეებს, შეთქმულება მოეწყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქის წინააღმდეგ, რომელიც აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონში ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა. ამას გარდა, როგორც აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, დაკავებული პირი გეგმავდა, სხვადასხვა პირის სამხედრო მომზადება ჩაეტარებინა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. უწყებაში აცხადებენ, რომ ამჟამად კომპლექსური საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებები გრძელდება, რათა საქმის ყველა დეტალი გახდეს ცნობილი.

# აპრილში მოსკოვში ახალ ტერაქტს გეგმავენ

**10 აპრილს მოსკოვში ახალი ტერაქტის მოწყობისთვის მოქალაქეებს 7 ათას დოლარს სთავაზობენ – „ბაზა“ ავრცელებს მესიჯებს, რომელსაც რუსეთის მოქალაქეებს უგზავნიან. გამოცემის თანახმად, ახალი ტერაქტები სავაჭრო ცენტრ „მეგაში“და „კონტინენტშია“ დაგეგმილი, დამკვეთები კი რუსი ახალგაზრდების რეკრუტირებას ახდენენ.**




პარალელურად, რუსულმა სპეცსამსახურებმა მოსკოვის ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით კიდევ სამი პირი აიყვანეს, მათ შორის 33 წლის ამინჩონ და 24 წლის დილოვარ ისამილოვები. არსებული ინფორმაციით, 24 წლის კაცი იმ მანქანის მძღოლი იყო, რომლითაც ტერორისტები საკონცერტო დარბაზში მივიდნენ და ტერაქტის შემდეგ დანაშაულის ადგილი დატოვეს. მათთან ერთად დაკავებულია 64 წლის კაციც, რომელიც ამ დაჯგუფების ლიდერად სახელდება. ყველა დაკავებული რუსეთის მოქალაქეა.

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -**
**ლენტეხის მუნიციპალიტეტში 5,35 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დევაში ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 2 მაისი, 16:00 საათი, დაბა ლენტეხის მერიის შენობა (მის: თამარ მეფის ქ. №24)

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **24 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -**
**მარნეულის მუნიციპალიტეტში, იადლუჯას მიმდებარედ შპს „ენერჯი სოლუშენს 2“-ის 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის მზის ელ. სადგურისა და 110 კვ-იანი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 10 მაისი, 14:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: რუსთაველის ქ. №73)

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **27 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 50 მგვტ სიმძლავრის „ზესტაფონის“ ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის** გზშ-ის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

შესაბამისად, **2024 წლის 19 აპრილს 12:00 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. დილიკაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასა და 2024 წლის 19 აპრილს 15:00 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოსლევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში** გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვები გაუქმდა. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - https://ei.gov.ge/ka/info/92ef4e45-7dc3-4648-960d-f4c4d735b4f6



## გოლოვინას ლიცენზია

**ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტ ქვეყანათა რიცხვს საქართველოც შეუერთდა. პარიზის საგზურის მოპოვება სამგზის ოლიმპიელმა (პეკინი-2008, ლონდონი-2012, რიო-2016), ევროპული თამაშების ვერცხლის მედალოსანმა ლუბა გოლოვინამ მსოფლიო თასის სერიებში დაგროვილი სარეიტინგო ქულებით შეძლო.**

პარიზის ოლიმპიურ ბატუტზე ქალებში გამოსვლის უფლება მოიპოვეს ჩინეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ, ესპანეთმა, აზერბაიჯანმა, ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლებმა და საქართველომ.

აღსანიშნავია, რომ 2 აგვისტოს პარიზის ბერსი არენაზე ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა თითო ქვეყნიდან მაქსიმუმ ორ სპორტსმენს შეეძლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბატუტზე ხტომაში სახელობითი ოლიმპიური კვოტები არ თამაშდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთში წამსვლელის შერჩევისას საბოლოო სიტყვა ეროვნულ ფედერაციას ეთქმის.

პასპორტი

## ქართველი ამერიკელი

**UFC-ის ქართველ მებრძოლ მერაბ დვალიშვილს ამერიკის მოქალაქეობა მიანიჭეს,** – ამის შესახებ განცხადება ქართველმა სპორტსმენმა სოციალურ ქსელში გააკეთა.

**„თითქმის უკვე 12 წელიწადია, რაც ამერიკაში ვცხოვრობ. დღეს ოფიციალურად მომანიჭეს ამერიკის მოქალაქეობა. არ იყო ადვილი თავის დამკვიდრება ამ ქვეყანაში, მაგრამ შრომითა და მოთმინებით ყველა დაბრკოლება გადავლახე და ბევრი რამ ვისწავლე, რისთვისაც მადლიერი ვარ ამ ქვეყნის“,** – დაწერა მერაბმა სოციალურ ქსელში.

დვალიშვილი ამერიკაში საცხოვრებლად 2012 წელს გადავიდა, MMA-ში კი მისი კარიერა 2014 წლიდან დაიწყო.



ცოტა ხნის წინათ ქართველმა მებრძოლმა ჰენრი სეხუდო დაამარცხა და ახლა საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლის მოლოდინშია.

რეტრო

# «ვითას» 7 გაელვება

**სიმბოლურია, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატი ქართული საკლუბო კალათბურთის სახემ – თბილისის „დინამომ“ მოიგო, რომლის მიერ ჩემპიონთა თასის მოხვეჭა ბევრს აღარც ახსოვს, შემდეგი სეზონიდან კი დამოუკიდებლობაადგენილ თითო სახელმწიფოში ჰეგემონი „ვითა“ გახდა დღემდე სარეკორდო ზედიზედ 7 ტრიუმფით.**

**ეს სათქმელადაა ადვილი – გასული საუკუნის მიწურულს ამ გუნდს ბადალი არ ჰყავდა სამშობლოშიო, თორემ ვისაც მთავარ მეტოქეთა შემადგენლობები ახსოვს, დამეთანხმება, რომ იქ „პარადი“ საბჭოთა სკოლაგამოვლილთა თაობას მიჰყავდა და სულაც არ გახლდათ ადვილი წარმატებათა სტაბილურად მიღწევა.**

**იგივე შეიძლება ითქვას როგორც მწვრთნელთა (მაგალითად – ლევან მოსეშვილი და ნუგზარ ჭეიშვილი), ისე მსაჯთა (გიორგი ავალიშვილი, მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი, ლევან ინწკირველი და როლანდ გელოვანი) შესახებაც, რაც სასიკეთოდ აისახებოდა თვით ტურნირის საერთო დონეზე.**



**ამ მხრივ უცვლელ გვირგვინოსანს ახალგაზრდულ ასაკთან ერთად ბრძოლის განსაკუთრებული ჟინი და ჯიგრიანი თამაში გამოარჩევდა, რის გამოც ქომაგთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა, ამიტომ გასაკვირი სულაც არაა, მიზიდულობის ცენტრად და ნაკრების საბაზო კლუბად რომ იქცა.**

**არადა, ეს ხდებოდა იმ ეპოქაში, როცა ვერის ბაღის გაყინული დარბაზის ჭერიდან იატაკზე წვიმისა თუ თოვლის წყალი წვეთავდა და იქაურობის კოლორიტს სტიოპას ჩვრით უწევდა სარბიელის ამშრალება. ისეთ ფუფუნებაზე, როგორიც გასახდელის მოწესრიგება და შეხვედრის შემდეგ ცხელი შხაპის მიღებაა, ოცნებაც კი არავის შეეძლო.**

**ასეთი ვაიპირობების მიუხედავად, დედაქალაქი მაინც სპორტით სუნთქავდა და ქვეყანაში გამეფებულ მთელ რიგ უკეთურობათა პარალელურად კონტრასტულად გამოიყურებოდა გულშემატკივრებით გადაჭედილი ტრიბუნები, დანარჩენ საინტერესო საკითხებზე კი გვესაუბრება „ვითას“ უცვლელი პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ საყვარელი კლუბი აღადგინა და ვითიბი ლიგაში ათამაშა.**

**– ალბათ სავსებით ლოგიკური იქნება დიალოგი 30 წლის საიუბილეო თარიღის დაგვიანებული მოლოცვით დავიწყოთ, რომელიც სამწუხაროდ თითქმის არავის გახსენებია და კოვიდპანდემიის გამო არც აღნიშნულა, მაგრამ ხომ იცით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მოკლედ, როგორ დაიბადა „ვითა“, ვის სახელებს უკავშირდება აღნიშნული საშვილიშვილო იდეის განხორციელება და ვის ხვდა წილად პატივი გუნდის პირველი თაობის წევრი ყოფილიყო?**

– ბიზნესმენობისას გამიჩნდა იდეა, რომ იმ გუნდიდან, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ ღირსებას იცავდა (თქვენი მონა-მორჩილი, ზურაბ ტომარაძე, ბესო ლიპარტელიანი, გელა წულაძე, მიხეილ კობეშავიძე, დუდუ დადიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი), ახალი გუნდი შეგვექმნა, ხოლო რაც შეეხება ნათლობას, დამფუძნებელთა ოთხეულის სახელების პირველი ასოების გაერთიანების შედეგია (ვლადიმერ ძიძიგური – სსრკ ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ამჟამად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე, ჩვენს შორის ყველაზე სახელოვანი მოთამაშე), ივანე შენგელია (საველიჩი), თემურ დათიკაშვილი და ბიზნესმენი ავთანდილ საყვარელიძე). სიამოვნებით დაგისახელებთ „ვითას“ პირველი თაობის წევრებსაც: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (გუნდის კაპიტანი), დუდუ დადიანი, მიხეილ კობეშავიძე, თამაზ გიგაური, ირაკლი მაისურაძე, მალხაზ ანდღულაძე, ირაკლი ხომერიკი, ლევან გეგეშიძე, კახა ბარამიძე, ამბროსი ორმოცაძე (ჩემპიონობის რაოდენობით ქვეყნის რეკორდსმენი), გოდერძი კორძაძე, გია ბერუაშვილი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტები – ირაკლი საყვარელიძე და ზურაბ დათიკაშვილი, ფიზმომზადების მწვრთნელი – მამია ტუღუში, გუნდის ექიმი – ვახტანგ მიროტაძე და მასაჟისტი – საშა გალპერინი.

**– წერილის შესავალში ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ ნაკრების საბაზო კლუბი ანდამატივით იზიდავდა კონკურენტთა ლიდერებს. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ ლეგიონერთა სამშობლოში დაბრუნების მაგალითი.**

– დებიუტიდან 2 სეზონის შემდეგ ლეგენდარული დავით ყიფიანის ავტორიტეტის გამოყენებით ვცდილობდით რიგის „ბროცენისთან“ ევროტურნირის ბრძოლების წინ ლიუბლიანას „ოლიმპიადან“ 17 წლის ვლადიმერ სტეფანიას ჩამოყვანას, მაგრამ, გარიგება არ შედგა. სხვათა შორის, სწორედ დასახელებული შემთხვევის შემდეგ გაიზარდა სლოვენიურ კლუბში ვოვას ანაზღაურება 7-8 ათასიდან 50 ათას გერმანულ მარკამდე.

**– მაშინაც და დღესაც კი ათას ჭორ-მართალს გაიგონებ „ვითას“ მიერ მოხვეჭილი ტიტულების დასაკნინებლად. რას ვიზამთ – ენას ძვალი არა აქვს. და მაინც – რა იყო თქვენი საიდუმლო იარაღი?**

– გულახდილად გეუბნებით – თითქმის უიმედო სიტუაციებშიც კი ბიჭებს გამოარჩევდა არნახული ბრძოლისუნარიანობა და არავითარი მაქინაცია. საილუსტრაციოდ დაგისახელებთ „კაქტუსთან“ გახმაურებული ფინალური სერიის ერთ ეპიზოდს, როცა წაგებული პირველი მატჩის შემდეგ მეტოქის მოთამაშემ უკმეხი ფრაზით მოგვმართა. ისედაც ემოციურ „ვითას“ წითელი ნაჭრის აფრიალება უნდოდა? ბიჭებმა გასახდელი დალეწეს, შესაბამისი ფიცი დადეს (ეს, რა თქმა უნდა, კულტურულად) და დარჩენილი ორი შეხვედრის მოგებით ტიტული შეინარჩუნეს. ამავე თემას მიესადაგება შემდეგი ფრთოსანი გამოთქმაც: „ვითაში“ გადასულები ცოფიანი გიჟები ხდებიან“.

**– ბუნებრივია, წარმატებები ჰაერიდან არ მოდის, მათი მთავარი შემოქმედი კი მწვრთნელია...**

– ამ მხრივაც ნამდვილად გაგვიმართლა, თანაც მართალია ისინი განსხვავებული თვისებებით იყვნენ შემკულნი, მაგრამ მთელი რიგი ნიუანსები აერთიანებდათ. დასანანია, რომ უნიჭიერესმა პროფესიონალმა **ზურაბ ტომარაძემ** საკუთარი ტალანტის მხოლოდ ნაწილის რეალიზება მოახერხა, ხოლო **ბესო ლიპარტელიანს** გადარეული შეგირდები კბილებით ეჭირა და გუნდში წესრიგი დაამკვიდრა. უფრო მეტიც – ფედერაციის თავკაცის ამპლუაში მის სახელს უდიდესი გარღვევა უკავშირდება, რომელიც ინერციით დღესაც გვახსენებს თავს.

**– სერიოზული თემების პარალელურად იქნებ კურიოზებიც გაიხსენოთ.**

– არც უმაგისობაა. კერძოდ, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ჰოდა, ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ მატჩზე მობრძანებული დედაქალაქის მერისთვის გულშემატკივართა შორის დასაჯდომი ადგილი არ გამოიძებნა და იგი ჩვენი გუნდის სათადარიგოთა სკამზე მოვათავსეთ. სხვათა შორის, არანაკლებ სახალისოდ გამოიყურება კიდევ ერთი ფაქტი: რომელიღაც მაღალჩინოსანს ჰგონებია, რომ გადავსებული დარბაზი ჩვენი შემოსავლის წყარო იყო და შემოგვთავაზა, ბილეთების გაყიდვით მოგებული თანხა მეც გამიყავითო.



შეუმჩნევლად გაირბინა რამდენიმე საათმა და მრავალი უცნობი ფაქტი შევიტყვე „ვითას“ მემატიანისგან, თუმცა შეზღუდული საგაზეთო ფორმატის გამო ამჯერად მხოლოდ ერთს გაგიზიარებთ: თურმე პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი საკალათბურთო გაზეთი **დიმიტრი ობოლაძის** რედაქტორობით დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვან კლუბს გამოუცია და იგი განუმეორებელი დრაჟენ პეტროვიჩის ხსოვნისთვის მიუძღვნია.

დამშვიდობებისას თემურ დათიკაშვილმა დაღუპული ძმის სახელზე ჩაფიქრებული ოცნებაც გამანდო: „ვითას“ კიდევ ერთხელ აღორძინება და რომელიმე ევროთასის მოპოვება.

**რატომაც არა?**

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**

## სანთელი

სტუ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

# სამძიმარი აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილსა და მის ოჯახს შვილის გარდაცვალების გამო

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, ცნობილ მეცნიერს, სტუ-ის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს თამაზ ნატრიაშვილსა და მის ოჯახს შვილის**

# ავთანდილ ნატრიაშვილის

**გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს.**

**მწუხარებას გამოვთქვამთ ავთანდილ ნატრიაშვილის გარდაცვალების გამო — საზოგადოებას კიდევ ერთი, გულისხმიერებით, სიკეთითა და ჰუმანურობით გამორჩეული ადამიანი გამოაკლდა.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სამეცნიერო-აკადემიური წრეების, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით, უდიდესი გულისტკივილით ვუცხადებთ სამძიმარს ღვაწლმოსილ კოლეგას, ცნობილ მეცნიერსა და პედაგოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ თამაზ ნატრიაშვილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს შვილისა და ძმის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს — გარდაცვლილის მეუღლესა და შვილებს.**

**ავთანდილ ნატრიაშვილის სახელი დიდხანს იცოცხლებს მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.**

**ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!..**

# წამებისგან ვთავისუფლდებით თუ... ისევ გვატყუებენ?

**წამებისგან თავისუფლების (Freedom from torture) ინდექსით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო 50 ქვეყანას შორის მოხვდა (46-ე ადგილზე), პოსტსაბჭოთა ქვეყნების საუკეთესო სამეულშია, დიდი შვიდეულის 3 ქვეყანას უსწრებს და 2012 წელთან შედარებით სარეიტინგო პოზიცია 101 ადგილით აქვს გაუმჯობესებული.**




დემოკრატიის კვლევის მსოფლიოს მოწინავე ცენტრმა, ორგანიზაციამ „დემოკრატიის მრავალფეროვნება" (V-DEM) წამებისგან თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა. კვლევა, რომელიც მსოფლიოს 179 ქვეყანას და ტერიტორიას მოიცავს, კონცენტრირებულია სახელმწიფო მოხელეების ან სახელმწიფოს სხვა აგენტების (მაგ., პოლიციის, უსაფრთხოების ძალების, ციხის მცველებისა და გასამხედროებული ჯგუფების) მიერ გამოყენებული წამების შეფასებაზე.

თავის მხრივ წამება გულისხმობს უკიდურესი ტკივილის მიზანმიმართულ მიყენებას, იქნება ეს გონებრივი თუ ფიზიკური, ინფორმაციის მოპოვების ან პატიმრობის მსხვერპლთა დაშინების მიზნით.

2023 წლის რეიტინგში საქართველო წამებისგან თავისუფლებით მსოფლიოში 50 საუკეთესო ქვეყანას შორის მოხვდა და 46-ე ადგილზე გავიდა, ამასთან, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საუკეთესო სამეულშია ესტონეთისა და ლიეტუვის შემდეგ. საქართველო რეიტინგში უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, ავსტრალიას, საბერძნეთს, რუმინეთს, პოლონეთს, სლოვაკეთს, ლატვიას და ა.შ. წამებისაგან თავისუფლებით საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის ლიდერია და მათ რამდენიმე ათეული ადგილით უსწრებს.

# ზესტაფონის ახალი შემოვლითი გზით გადაადგილებას მაისიდან შევძლებთ

**ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.** მათივე ინფორმაციით, Ш60 ავტომაგისტრალის, რიკოთის საუღელტეხილო გზის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე, პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია 14.7 კმ- იანი 4 ზოლიანი გზის მშენებლობა. ამ ეტაპზე, 17 ხიდიდან აშენებულია 15 ხიდი, ხოლო 10 გვირაბიდან ათივე გვირაბი გაჭრილია. სამუშაოების 80% უკვე შესრულებულია. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, რომელიც 4 მონაკვეთადაა დაყოფილი, ჯამში, შენდება 52 კმ-მდე გზა, 97 ხიდი და 51 გვირაბი.

# ქალს წამების კვალი ეტყობა... ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა

**თბილისში, ვაზისუბანში 30 წლამდე ქალი 24 მარტს დაჭრეს. 28 წლის ქალის მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულს 15 წლით პატიმრობა ემუქრება – უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულ ბიჭიკო ბაჩილავას პროკურატურამ ბრალი გადაუკვალიფიცირდა და მუხლი დაუმძიმა.**

მას მეზობლის მკვლელობის მცდელობას ედავებიან – საქმეზე კვალიფიკაცია ქალის სხეულზე აღმოჩენილი უმძიმესი დაზიანებების გამო შეიცვალა ქალს სახე დასერილი აქვს, ნეკნები ჩატეხილი, სხეულზე კი ათობით ჭრილობა აქვს მიყენებული.

სამართალდამცავები გამოძიებას თავიდან სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით აწარმოებდნენ, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 4-დან 7-წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. ახლა კი პროკურატურამ ბაჩილავას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შეყვარებულის დაჭრაში ბრალდებულმა ქალმა დუმილი დაარღვია

**სასამართლო პროცესზე განსასჯელის სკამზე მჯდომმა ახალგაზრდამ იმ მძირე გარემოებებთან დაკავშირებით ისაუბრა, რამაც მხარეებს შორის სისხლიანი ანგარიშსწორება განაპირობა.**

28 წლის მაკა ალექსანდრიამ გაიხსენა ყველა ის დეტალი, თუ როგორ დაინახა საკუთარი შეყვარებული და უახლოესი მეგობარი ერთად, შიშვლები, ინტიმური ურთიერთობის დროს. ბრალდებულმა სასამართლო სხდომაზე კონფლიქტის გამომწვევ დეტალებთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ მხარეებს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ალექსანდრია ღალატში მომსწრე მეგობარს დაემუქრა, რომ მომხდარის შესახებ მის მეუღლეს მოუყვებოდა.

**„ძალიან მძიმე იყო, როდესაც შენს ორ საყვარელ ადამიანს, შენს საკუთარ სახლში, შენს ოთახში, შენს ლოგინში მთლიანად შიშვლებს ხედავ. იმის მიუხედავად, რომ ჩემთვის ბოდიში მოეხადათ, ზეწოლა მოდიოდა ჩემ მხარეს – თითქოს, როგორ დავამტკიცებდი, რომ ეს მოხდა. შემდეგ გერას და ჩემს შორის დაიწყო დაპირისპირება, როდესაც ვუთხარი, რომ ყველაფერს მის ქმარს ვეტყოდი და ღალატის სხვა ისტორიებსაც მოვუყვებოდი"**, – ამბობს მაკა ალექსანდრია.

# მოსკოვის ტერაქტისას ქართველი ქალი და მისი ქმარი დაიღუპნენ

**მოსკოვის საკონცერტო დარბაზ „კროკუს სითი ჰოლში" მომხდარ ტერაქტს ერთი ქართველი ემსხვერპლა. ტერორისტების მიერ სასტიკად მოკლული ქალის და, ნინო მამისაშვილი ამბობს, რომ საბედისწერო დღეს მისი და საკონცერტო ჰოლში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.**

ISISI-ის მებრძოლებმა წყვილი დერეფანში ჩაცხრილეს. ირინა და რომან სოკოლოვები დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. როგორც გარდაცვლილების ოჯახის წევრმა „ტვ პირველთან" საუბრისას აღნიშნა, ქალს ათობით ტყვია ზურგის არეში აქვს მოხვედრილი, მკლავში გამჭოლი ჭრილობა, ფილტვები დახვრეტილი, მამაკაცს კი ერთი ტყვია გულში მოხვდა. ნინო მამისაშვილის თქმით, ცხედრები იმდენად იყო დაზიანებული, რომ ოჯახს გარდაცვლილების ამოცნობა გაუჭირდა.

# დაკავებულია 19 წლის ქართველი, რომელმაც ათენში სკოლის დირექტორი დაჭრა და მოსწავლეს სცემა

**მას ბრალად ედება სკოლის დირექტორისა და მოსწავლის დაჭრა. როგორც მედია წერს, დაკავებული სკოლაში შეიჭრა და ჯერ დირექტორი დაჭრა, ხოლო შემდეგ ნიგერიელ მოსწავლეს ჩაქუჩით სცემა. ორივე დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო თავდამსხმელ დააკავეს.**

არსებული ინფორმაციით, მომხდარის მოტივად შურისძიება სახელდება. როგორც მედია წერს, თავდამსხმელის ძმასა და ნიგერიელ მოსწავლეს შორის კონფლიქტი იყო.

# იტალიის ციხეს კიდევ ერთი ქართველი შეემატა

**ფლორენციაში, ნოვოლის რაიონში, ბინის გაძარცვის მცდელობისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს.

ძარცვის მცდელობის დროს სახლში სიგნალიზაცია ჩაირთო. 31 წლის კაცი დაკავების დროს ჯერ კიდევ შენობის კიბეზე იმყოფებოდა. სახლში ნაპოვნია ვერცხლის ნივთებით სავსე ზურგჩანთა, რომელიც, სავარაუდოდ, მან გაქცევისას დატოვა. ფლორენციის სასამართლოს მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, დაკავებული საქართველოს მოქალაქე ფლორენციის სოლიჩიანოს ციხეში გადაიყვანეს.

# პროკურატურამ მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა...

**საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა უცხო ქვეყნის ხუთი და საქართველოს ორი მოქალაქის მიმართ დაიწყო.**

საგამოძიებო უწყების ცნობით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები სოციალურ ქსელებში დარეგისტრირებული ყალბი გვერდების გამოყენებით, უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან კომუნიკაციას ამყარებდნენ და ნდობის მოპოვების შემდეგ, სხვადასხვა ცრუ და გამოგონილი საფუძვლით, დაზარალებულებს საბანკო ანგარიშებზე თანხებს მოტყუებით არიცხვინებდნენ.

ბრალდებულები სოციალური ქსელით დაუკავშირდნენ მათ შორის ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქეს, რომელსაც 128 424 ევრო საქართველოში, მათთვის სანდო პირების საბანკო ანგარიშებზე ეტაპობრივად გადმოარიცხვინეს, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ. ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით შვიდიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულში ჩართული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

# სკოლებში ადრე წიწაკას წვავდნენ, ახლა წიწაკის სპრეის იყენებენ

**თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე 32-ე საჯარო სკოლაში მომხდარი ინციდენტის შედეგად, რამდენიმე მოსწავლე, პრევენციის მიზნით, კლინიკებშია გადაყვანილი, თუმცა არცერთი მათგანის მდგომარეობა რთული არ არის,** – ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განაცხადეს.

მათი თქმით, 15-მდე მოსწავლე კლინიკაში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, სკოლაში ბავშვებმა წიწაკის სპრეი გაუშვეს.

განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდარის გამო, როგორც ამას არსებული მექანიზმი ითვალისწინებს, პრევენციის მიზნით, სკოლაში სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

# კრიმინალი მეწარმეს სისტემატურად სძალავდა თანხას

**იმერეთის პოლიციამ გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ვ.კ. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმეს – შ.გ.-ს სისტემატურად სძალავდა სხვადასხვა ოდენობის თანხას. ბრალდებულმა მიმდინარე წლის მარტში მეწარმეს კვლავ მოსთხოვა გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა, ხოლო უარის მიღების შემდეგ შ.გ.-ს მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა, მეტი დამაჯერებლობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით დემონსტრირებდა.

# იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრა და სამინისტროს ინფრასტრუქტურული განვითარების დეპარტამენტის უფროსს გიორგი გოცაძეს, კულტურაზე ხელმისაწვდომობის დეპარტამენტის უფროსს ალექსანდრე გრიგალაშვილსა და მოქანდაკე გია ჯაფარიძესთან ერთად გაეცნო სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ეტაპს,** – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.



მინისტრმა მუზეუმის დირექტორთან **ნათია ადუაშვილთან** ერთად დაათვალიერა განახლებული საგამოფენო დარბაზი, შემდეგ კი შეხვდა სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს. გასულ წელს, სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ეტაპზე, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში გამოიცვალა პარკეტი, პირველ სართულზე განახლდა ხის მოაჯირები, ცალკე აშენდა და მოეწყო სალაროს შენობა, ამჟამად კი მიმდინარეობს ვიზიტორებისათვის განკუთვნილი სველი წერტილების მშენებლობა.

სამუშაოების მეორე ეტაპზე სამინისტროს დაფინანსებით იგეგმება გათბობის სისტემის დამონტაჟება და სახურავის სრული რეაბილიტაცია.

სამინისტროს სისტემაში დიდი ქართველი მოღვაწეების რამდენიმე სახლ-მუზეუმია, იმ ადამიანების, რომელთაც ქართული კულტურა და ენა შეინარჩუნეს და მომავალ თაობებს შემოუნახეს. იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი ერთ-ერთი გამორჩეული მუზეუმია, რომელიც 1958 წლის 14 დეკემბერს გაიხსნა. 2023 წელს მუზეუმს 40 976 დამთვალიერებელი ეწვია.



# დანტეს ოქროს მედლის ლაურეატი დავით მაღრაძე – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღნიშნეს დანტე ალიგიერის საერთაშორისო დღე, რომელსაც დანტეს ოქროს მედლის ლაურეატი დავით მაღრაძე ესწრებოდა.**

პოეტმა იტალიაში გამოქვეყნებული ლექსები წაიკითხა და თანამედროვე სამყაროში დანტე ალიგიერის როლზე ისაუბრა. ღონისძიება დანტე ალიგიერის საზოგადოებისა და ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით 2020 წლიდან ტარდება.

# ლეიკემიადამარცხებული ბავშვი - სხვათა გამამხნევებელი

**8 წლის მილა სნედონმა, რომელმაც ლეიკემია დაამარცხა, ქეით მიდლტონს გამამხნევებელი წერილი მიწერა, სადაც მოუწოდებს, რომ მის მსგავსად იბრძოლოს და სიმამაცე გამოიჩინოს. მილა სნედონს ლეიკემიის დიაგნოზი 4 წლის ასაკში დაუსვეს და მან სიმსივნე 2 წლის წინ დაამარცხა.**



2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, ქეით მიდლტონმა და პრინცმა უილიამმა ონლაინ კამპანია დაიწყეს, სადაც ხალხი ფოტოების საშუალებით თავიანთ გასაჭირს აზიარებდა. მილა სნედონმა გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ჩანდა, თუ როგორ მკურნალობდა მილა ლეიკემიას და მამას დისტანციურად ელაპარაკებოდა. ამ ფოტოს გავრცელების შემდეგ ქეით მიდლტონმა მილა მშობლებთან ერთად ედინბურგის სასახლეში დაპატიჟა და მილას პირადად შეხვდა. 2021 წელს მილა სნედონი ვესტმინსტერის სააბატოს საშობაო კონცერტსაც ესწრებოდა. სოციალურ ქსელ X-ში პოსტი მილა სნედონის დედამ გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ ის და მილა ძალიან განიცდიან ქეით მიდლტონის დიაგნოზს და დარწმუნებულები არიან, რომ ისევე დაამარცხებს ამ დაავადებას, როგორც ეს მილამ შეძლო.

# გაუქმდეს 16 წლამდე ბავშვების ანგარიშები სოციალურ ქსელებში!



**„ფლორიდის შტატის გუბერნატორმა, რონ დესანტისმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმად, 14 წლამდე ბავშვებს ეკრძალებათ სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნა, ხოლო 14 და 15 წლის ბავშვებს სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნა მხოლოდ მშობლების თანხმობით შეეძლებათ“,** – ნათქვამია განცხადებაში.

კანონი ძალაში 2025 წლის პირველი იანვრიდან შევა.

**„სოციალური მედია ზიანს აყენებს ბავშვებს სხვადასხვა გზით. კანონმდებლობა მშობლებს შვილების დაცვის უფრო დიდ შესაძლებლობას აძლევს“,** – აღნიშნულია დესანტისის განცხადებაში.

# ცნობილ რეპერს სექსუალურ ექსპლუატაციაში ადანაშაულებენ



**ცნობილი ამერიკელი რეპერისა და მუსიკალური პროდიუსერის, პაფ დედის სახლებში ჩხრეკა ჩატარდა. მუსიკოსს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობაში ადანაშაულებენ. სკანდალური საქმის გამოძიების ფარგლებში ჩხრეკა მუსიკოსის ორ ვილაში – ლოს ანჯელესსა და მაიამიში ჩატარდა.**

გავრცელებული ცნობით, სამართალდამცველებმა რეპერის ორი ვაჟი ჯასტინი და კინგი დააკავეს. თავად რეპერის დაპატიმრების შესახებ ცნობები არ ვრცელდება. პაფ დედის წინააღმდეგ სარჩელი ქალთა გარკვეულმა ჯგუფმა შარშან, ნოემბერში შეიტანა.

# ტრაგედია რბოლაზე

**უნგრეთში ავტომობილი, რომელიც რბოლაში მონაწილეობდა, გზიდან გადავიდა და მაყურებლებს დაეჯახა.**

პოლიციის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, რვა კი დაშავდა, აქედან ერთი ბავშვია. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ვრცელდება ვიდეოც, სადაც ჩანს, რომ მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე, გზიდან გადავიდა და მაყურებლებს დაეჯახა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 29 მარტს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7055; ევრო - 2.9374;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4249;
100 რუბლი - 2.9124; თურქული ლირა - 0.0840;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5892;
1000 სომხური დრამი - 6.8060

**ამინდი 27 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –5, | დღე +10 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე +14 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge